ლამპარი

თფილისი
ოთხშაბათი, 14 (28) ივნისი.
1906
წლიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 41 ყოველ-დღიური გაზეთი. № 41

ჯარის აჯანყება ბათუმში.—ამხ. ლ. მარტოვის წერილი „რასკოლის“ შესახებ.—ბელოსტოკის გენ.-გუბერნატორი თვით ებრაელებს აბრალებს მათ აკლებას.—კადეტები მემარცხენე პარტიების მოქმედებას „დემაგოგობას“ უწოდებენ.—კავკასიის დეპუტატები დუმაში თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტაზე ლაპარაკობენ.

რედაქციის კანტორა გადავიდა მიხაილოვის ქუჩაზე, № 12, სახლი მანუელოვისა.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ“.

14 ივნის, ოთხშაბათს, საღამოს რვა საათზე ქალაქის სამმართველოში დანიშნულია ამომრჩევლების კრება.

„ლამპრის“ რედაქციაში იყიდება მველი გაზეთების ქაღალდი. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ რედაქციის კანტორაში. (10—1)

სეირნობა

გასწავლებელ ქალების ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოთ

კვირას, 18 ივნისს, „პალერმოს“ ბაღში (ბავშვთა მფარველი საზოგადოების ყოფილი ბაღი) გაიმართება

ლატარეია-ალეგრი.

„ბედის ბოჭკა“, „კუკოლკა ზაგადკა“, მიზანში სროლა, Petits chevaut, ბავშვებისთვის რებუსები საჩუქარით, მკითხაობა, ყვავილების გაყიდვა, „კონფეტი“, ბუფეტი. სეირნობის დროს სამხედრო მუსიკა დაუკრავს. ბაღში შესვლა ღირს დიდებისათვის 20 კ., ბავშვებისთვის 10 კ. ლატარიის ბილეთი ღირს 20 კ. (5—3).

ამ ორი თვის წინეთ დაიკარგა თფილისის ტრამვაის კონდუქტორი

კონსტ. იმნაიშვილი

ნიშნები: მაღალი ტანის, შავი თმა, წვერს პარსავს, ჭკუაზე შეშლილია. გთხოვთ ვინც იცით ან შეხვდეთ გააგებინოთ ლანჩხუთში ონოფრე იმნაიშვილს. (4—1)

ქალაქის მმართველობა

წვევს **უსაქმოთ დარჩენილებს** გამოცხადდნენ რეგისტრაციისათვის (ჩასაწერათ). საქმის გაადვილებისათვის ქალაქი ხუთ რაიონათაა დაყოფილი; თვითეულ ნაწილში ებდება ჩაწერა ყოველდღე, დილის ცხრა საათიდან.

პირველი რაიონი—მე-9 და მე-10 საპოლიციო ნაწილი; სავაჭრო-სამეურნეო კანტორა, ავჭალის მოედანზე.

მეორე რაიონი—1 საპოლ. ნაწილი; ვერის დაღმართი, სავაჭრო-სამეურნეო კანტორა.

მესამე რაიონი—მე-2, მე-3 და მე-4 საპოლიციო ნაწილი; პუშკინის ბიბლიოთეკა, ალექსანდრეს ბაღში.

მეოთხე რაიონი—მე-5 და მე-6 საპოლ. ნაწილი ნაწილი; სავაჭრო-სამეურნეო კანტორა; მოედანზე.

მეხუთე რაიონი—მე-7 და მე-8 საპოლ. ნაწილი; არაქსიანის თეატრი ავლაბარში.

*) შენიშვნა: წინეთ ჩაწერილი სთხოვენ მოვიდენ შესაფერ რაიონში შემდეგ ცნობების მისაღებათ. (3—3)

ჯარის აჯანყება ბათუმში

—

ბათუმიდან მოსული ამხანაგი გადმოგვცემს: 11 ივნისს ბათუმში სალდათების მიტინგი გაიმართა, რომელიც მშვიდობიანათ დაიშალა, მხოლოდ შემდეგ დაიჭირეს 9 სალდათი. ამან სალდათებში მღელვარება გამოიწვია. იმავე ღღეს ღამის სამ საათზე კაზაკები თავს დაესხენ მეორე ფორტის ბატარეიას და აიღეს. როცა ეს ამბავი სხვა სალდათებმა გაიგეს მსწრაფლ თავიანთი პოზიციები გაამაგრეს. ამის შემდეგ არდაგანის პოლკის სალდათები დაეცენ ნაღმის როტას. ამ დროს ნაღმის როტიდან გამოვიდა ერთი სალდათთაგანი, აუხსნა თავდამსხმელთ დღევანდელ პოლიტიკურ მომენტის მნიშვნელობა და მიუთითა საზოგადოთ ხალხის და კერძოთ სალდათების მტრებზე. არდაგანის პოლკის სალდათებზე ამხანაგის სიტყვამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მათ ერთბაშათ „ურას“ ძახილით უკან დაიხიეს. ამის შემდეგ ნაღმის როტაზე იერიში მიიტანეს კაზაკებმა, როტამ წინადადება მისცა მათ—გაგვშორდით, თორემ ამოგწყვეტავთო. კაზაკებიც გაეცალენ. ამავე დროს საპიორის ბატალიონს თავს დაესხა ხერსონის პოლკი. საპიორებმა ზარბაზნები გამოიტანეს და დაუმიზნეს თავდამსხმელთ და კაზაკების კაზარმებს. ხერსონის პოლკიც იძულებული იყო უკან დაეხია. საპიორებმა ზარბაზნები უკან გააბრუნეს. ორშაბათს მოხდა ბათუმის გარნიზონის სამხედრო ორგანიზაციის შეერთებული კრება და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: 1) განთავისუფლებულ იქნან ყველა ახლა და აქამდის დაპატიმრებული სალდათები, 2) განთავისუფლებულ იქნას კაზაკებისაგან დაჭერილი ფორტი და სს. მთელი ბათუმი აღელვებულია. დაწვრილებით ამბებს მოველით.

მონარქია თუ რესპუბლიკა?

I

„გადამწყვეტი შეჯახება აუცილებელია, და საჭიროა ამისათვის ვემზადებოდეთ ყოველი საშუალებებით, მთელის ძალღონით... ...ასეთი საბედისწეროლო წინასწარმეტყველება გვესმის უკიდურეს მემარცხენე ბანაკიდან“,—გულმოსკვნილი სწერდა ამას წინათ გაზ. „კავკაზი“, და თან დასძენდა, რომ უკიდურეს მემარცხენე პარტიებს „სრულიად ავიწყდებათ მესამე ელემენტი, რომელსაც ხალხსა და ბიუროკრატიის ბრძოლაში ნარგუნები აქვს რეგულიატორული (მომაწესრიგებელი) მნიშვნელობა. მათ ავიწყდებათ, რომ ამ დავაში არის უმაღლესი მსაჯული...“ მთავრობის ორგანოს უნდა მოვახსენოთ, რომ „მესამე ელემენტი“ „უმაღლესი მსაჯული“ დღეს არავის არ ავიწყდება; პირიქით, მთელი საზოგადოების და ხალხის ფხიზელი ყურადღება დღეს მისკენ არის მიმართული და რაც დრო მიდის, იმდენი უფრო იზრდება ეს ყურადღება. საკითხავი მხოლოდ ის არის, თუ ვის როგორ ესმის „უმაღლესი მსაჯულის“ მნიშვნელობა და ვინ რას გამოელის მისგან.

გაზ. „კავკაზი“ თავის მხრით ამბობს, რომ „უმაღლესი მთავრობა, (ე. ი. ხელმწიფეიმპერატორი) არ არის, როგორც ჰგონიათ უკიდურეს მემარცხენეებს, დამატება (придатокъ) ანუ შემადგენელი ნაწილი ბიუროკრატიისა. უმაღლესი მთავრობა, ყველა მისი პრეროგატივებით (ხელმწიფური უპირატესობანი) თანაბრათ შესაძლებელია არსებობდეს როგორც ბიუროკრატიულ, ისე დემოკრატიულ წესწყობილებაში“. ეს აზრი არ ეკუთვნის მარტო „კავკაზს“. იგი მეტათ გავრცელებულია ყველგან, გარდა სოციალისტურ წრეებისა. კადეტებს მაგ. არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ უმაღლესი მთავრობის „პრეროგატივები“ ხელშეუხებელი უნდა იყოსო. როგორ არის საქმე ნამდვილათ? განვიხილოთ.

თანახმათ იმ პოლიტიკურ წეს-წყობილების, რომლის წინააღმდეგ დღეს ატეხილია ბრძოლა, მთელი იმპერია და მისი მცხოვრებლები შეადგენენ ხელმწიფის კერძო საკუთრებას; ქვეყნის მართვა-გამგეობის, უზენაესი ძალის (სუვერენიტეტის) სავსება მოთავსებულია ერთი ადამიანის (მონარქის, მეფის,) ხელში. თავის-თავათ ცხადია, რომ ქვეყნის მოსაელელათ მეფეს უნდა ყავდეს მრავალი მოსამსახურეები—მინისტრები და სხვა აგენტები. ასეთ პირობებში ხალხი ემზგავსება ცხვრის ფარას, რომლის ბედიღბალს განაგებს ალა და მისი მწყემსები სხვადასხვა რანგის მიტროპოლიტ ანტონიდან მოკიდებული გოროდოვოებამდე თუ მის მნათეებამდე და პლევე-ტრეპოვ-დუბასოვიდან—უკანასკნელ პოლიციელამდე. ცხვრების გაკრეჭ-გაპარსვა თუ გატყავება, რასაკვირველია, ცხვრებს არ ეკითხებათ... ამასთანავე, რადგან ფიზიკურათ შეუძლებელია, რომ ალის თვალი და ყური ყველგან სწვდებოდეს, ცხადია თვითეული მოსამსახურე—მწყემსი თავის სამწყსოში ფაქტიურათ თვითონ არის ალა, პატარა მეფე. აი სწორეთ ამ მწყემსების იერარქია არის რუსის ბიუროკრატია. ამ წყობილების თვითონ ბუნება ისეთი არის, რომ აქ უმწვერვალესოდან უკანასკნელ საფეხურამდე კანონის ნაცვლათ უნდა მოქმედობდეს ძალადობა და თვითნებობა. ამ შინაარსისა რუსეთის არსებული მონარქია.

ხოლო იმ დღიდან, როდესაც „ცხვრები“ ცნობიერდებიან, თავის თავს სრულ უფლებიან ადამიანებათ გრძნობენ, ამ დროდან ხსენებული მონარქია დაღუპვის გზაზეა დამდგარი. ადამიანები თავის ხელში იღებენ თავიანთ ცხოვრების მოწყობის საქმეს. ადრე თუ გვიან ქვეყნის მართვა-გამგეობა, უზენაესობის ძალა სავსებით გადადის მთელი ხალხის ხელში. ამ შინაარსისაა დემოკრატიული რესპუბლიკა. *) სახელმწიფოს დემოკრატიულ წეს-წყობილების ბუნებრივი ფორმა მიუცილებლათ არის რესპუბლიკა.

მონარქიიდან რესპუბლიკაზე გადასვლა შეიძლება მოხდეს პირდაპირ ერთბაშათ, შეიძლება მოხდეს სვენ-სვენებით, ეტაპებით. თუ მონარქი, მეფე გამჭრიახი ადამიანია, ის მალე შენიშნავს ხალხის უკმაყოფილებას და იმ შიშით, რომ ქვევიდან არ მოხდეს სახელმწიფოს ცვლილება (რევოლიუცია), თვითონვე ახდენს ცვლილებას ზევიდან, რამოდენათმე აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნებს; ხალხს თანამოზიარეთ იხდის ქვეყნის მართვა გამგეობაში. ისტორიაში ასეთი ცვლილება მეტის მეტათ იშვიათია. ჩვეულებრივათ, სახელმწიფო ცვლილება ხდება ქვევიდან, ხალხი ახდენს რევოლიუციას. ამას შესაძლებელია მოჰყვეს ორი შედეგი. თუ ხალხი „უმაღლესი მთავრობისადმი“ გამსჭვალულია ღრმესი სიძულვილით, და მას შესწევს კიდეც ძალა, იგი პირდაპირ ამყარებს რესპუბლიკას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ხალხს არ შესწევს საკმაო ძალა და თავის ტანჯვა უბედურების უმთავრეს მიზეზათ მიჩნია ბიუროკრატია, მაშინ ხალხი ქვეყნის მართვა-გამგეობაში თანამოზიარეთ იხდის მეფეს ე. ი. მყარდება კონსტიტუციონური მონარქია.

მაგრამ მეფე ხალხს არასოდეს არ უერთდება, როგორც მოქალაქე *), ეს წინააღმდეგი იქნებოდა მეფობის პრინციპის. მეფე ყოველთვის რჩება თვისი მეფური პრეროგატივებით. ასეთი „პრეროგატივაა“ სხვათა შორის ის, რომ ვერც ერთი კანონი ვერ შევა ძალაში, თუ იგი ნება-დართული არ არის მეფისაგან. ასეთ პრეროგატივების დატოვება ნიშნავს, რომ მეფე არა სცნობს ხალხის სრულ უზენაესობას; ამიტომაც, კონსტიტუციონურ მონარქიაში არ არსებობს სრული დემოკრატია. იქ ხალხის უფლება რამოდენადმე ყოველთვის შეზღუდულია. ხოლო საჭიროა შევნიშნოთ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც მოიპოება ხანგრძლივი დემოკრატიული პარლამენტარული ტრადიციები, სადაც ხალხს ფაქტიურათ უკვე ხელში ჩაუგდია მთელი უზენაესობა, ასეთ ქვეყანაში მეფე ფაქტიურათ აღარ ერევა ქვეყნის მართვა-გამგეობაში, იგი კმაყოფილდება იმით, რომ მის წილათ არის პატივი, სახელი და ერთობ დიდი ჯამაგირი*). ასეთი ქვეყანაა მაგ. ინგლისი, რომლის შესახებ მონტესკიე ამბობდა, რომ „იქ მონარქიულ ფორმაში იმალება რესპუბლიკაო“. მაგრამ თვით ასეთ ქვეყნებშიაც ხალხის უფლება არ არის უზრუნველ ყოფილი. საქმე ის არის, რომ მეფე ვერასოდეს ვერ ივიწყებს ხოლმე საუკუნოებით შეჩვეულ განუსაზღვრელ ბატონობას; კონსტიტუციონურ მონარქიაში იგი ბუნებრივათ უკავშირდება ფულისა და წოდების არისტოკრატიას და არავითარ საშუალებას არ ზოგავს ხოლმე, რომ სახელმწიფოს სასწორი აქეთკენ იყოს ხოლმე გადახრილი. „უმაღლესი მთავრობა“ ხან დასმით მაინც ხელ-ფეხში უნდა ედებოდეს ქვეყნის დემოკრატიულ მართვა-გამგეობას. გარდა ამისა, რაც უნდა „დემოკრატიული“ იყოს უმაღლესი მთავრობა„ ეს „დემოკრატობა“ მაინც მისი პირადი საქმეა და არაფერია ამის თავდები, რომ იგი ხვალ, ზეგაც ამ მიმართულების იქნება და ან რომ ამ მიმართულებას არ გადასცდება ტახტის მემკვიდრე.

როგორც უნდა შევხედოთ საკითხს, ადვილი მისახვედრია, რომ ნამდვილი, სრული და მტკიცე დემოკრატია (სახალხო მართვა-გამგეობა) შეურიგებელია მონარქიასთან, რომ იგი (დემოკრატია) აუცილებლათ იგულისხმებს რესპუბლიკას. ამიტომ არის, რომ სოციალდემოკრატიული პარტია ყველა იმ ქვეყნებში, სადაც კი რესპუბლიკა ჯერ არ განხორციელებულა, ესწრაფის მის დამყარებას.

რესპუბლიკის მოთხოვას მეტი საფუძველი აქვს ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის რუსეთი: საკმაოა აღვნიშნოთ, რომ დღეს აქ არ არსებობს არავითარი დემოკრატიულ პარლამენტარული ტრადიციები, სამაგიეროთ არსებობს სასახლის ძლიერი პარტია, რომელიც არაფრის გულისთვის არაფერს არ უთმობს ხალხს და გამწარებული იბრძვის ძველი რეჟიმის გასამაგრებლათ. რუსეთში „უმაღლესი მთავრობა“ ყოველთვის იქნება ის ცემენტი, რომელიც მებრძოლ პარტიათ შეადუღებს სასახლის ყველა ბურჯებს, ბიუროკრატებს, კამარილას, „ვარსკვლავების სფერას“ და სხ. როგორი წეს-წყობილებაც უნდა დაამყაროს კონსტიტუციონურ მონარქიამ, რესტავრაციის, ძველი რეჟიმის აღდგენის შიში მაინც იმპერიის თავზე დამოკლის მახვილივით იქნება დაკიდებული; როგორიც უნდა იყოს კადეტების კონსტიტუცია „უმაღლესი მთავრობა“ მაინც მუდამ იქნება Coup d'Etat-ს (სახელმწიფო გადატრუნების) ზემთაგონება; იგი მუდამ იქნება „სახალხო თავისუფლების“ სასტიკი მუქარა.

აი ერთი საბუთი იმისა, თუ რატომ ესწრაფვის რ. ს. დ. მ. პარტია, რომ ძველი რეჟიმის ნანგრევებზე დამყარდეს დემოკრატიული რესპუბლიკა.

---

*) ძირითადი განსხვავება რესპუბლიკასა და მონარქიას შორის ის არის, რომ ერთ შემთხვევაში (მონარქის დროს) უზენაესობის ძალა ერთი ადამიანის (მონარქის) ხელშია, მეორე შემთხვევაში კი ამ ძალის მპყრობელია კოლექტივი, ე. ი. ადამიანთა კრებული; ერთი საზოგადოებრივი კლასი (არისტოკრატიული რესპუბლიკა) ან მთელი ხალხი (დემოკრატიული რესპუბლიკა).

*) რესპუბლიკის პრეზიდენტს უძახიან ხოლმე პირველ მოქალაქეს.

*) მეფის ჯამაგირი ყოველთვის შეუდარებლივ აღემატება პრეზიდენტის ჯამაგირს.

მოხდეს თუ არა ახალი რასკოლი? *)

—

გრძნობენ თუ არა, შეგნებული აქვთ თუ არა პეტერბურგის მუშებს, რომ ისინი მწვავე რასკოლის წინ დგანან თავიანთ პარტიაში, რ. ს.-დ. მ. პარტიაში? ხედვენ თუ არა ისინი, რომ რაც დღეს პეტერბურგის ორგანიზაციაში ხდება, მთელ პარტიას იმ სრული ერთიანობის მოსპობისაკენ მიერეკება, რომელიც უკანასკნელ სიეზდზე იქნა აღიარებული.

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიის ერთიანობა აღიარებულ იქნა და ფრაქციული ბრძოლა უკვე გახურებულია, გადატანილია იქ, სადაც, პეტერბურგში მაინც, ეს ბრძოლა არასოდეს არ წარმოებდა: შეუკავშირებელ და ხშირათ შეუგნებელ მასაში. ზავოდების მიტინგებზე, სადაც უშვებენ ყველა მუშებს, სადაც ისინი მოდიან სოციალდემოკრატიის ჯერ ისევ მხოლოდ საზოგადო მიზნების გასაცნობათ, ასეთ მიტინგებზე სოციალდემოკრატი გამოდის სოციალდემოკრატის წინააღმდეგ, და—რაც კიდევ უარესია—პარტიული ცენტრის წინააღმდეგ და ცდილობს „ჩაშალოს“ ის პოლიტიკური კამპანია, რომელსაც ეს ცენტრი აწარმოებს. თვალზა-აბნეულ მასის წინ, რომელსაც ვერა გაუგია რა, შავრაზმელთა გასახარელათ და ესერთა და ანარქისტთათვის თანამგრძნობელ ირონიულ ღიმილის მოსაგვრელათ, პეტ. კომიტეტის სახელით მოლაპარაკე ორატორები აცხადებენ—ცენტრალური კომიტეტი აწარმოებს ოპორტიუნისტულ, კონტრ-რევოლიუციონურ პოლიტიკასო, მისი რეზოლიუცია კადეტურ-ბურჟუაზიულ თვალთა ხედვის წერტილზე დგასო, ც. კ. ვერ უწევს პარტიას პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომელიც მას აქვს მინდობილიო... და პირადათ მე მარტო ასეთები როდი გამიგონია ხოლმე: მე შეუკავშირებელ მუშათა კრებებზე იმავე პეტ. კომ.-ის ორატორთაგან გამიგონია, თითქო ც. კ.-ის წარმომადგენლები ცდილობენ დაუმალონ მუშებს კადეტთა აგრარულ კანონ-პროექტის მავნებლობა ხალხისათვის; თითქო თუ ც. კ.-ის პოლიტიკა ცხოვრებაში გატარებულ იქნა, მაშინ „მაკლერების სტოლთან, რომელზედაც კადეტები ხალხის თავისუფლებით ვაჭრობენ, სკამი დაიდგმება სოციალდემოკრატებისათვისო“.

მე ვისმენდი იმ სიტყვებს და ვცდილობდი გამეხსენებია—ვისგან გამეგონა წინათ სოციალდემოკრატების ასე ყბათ აღება. ანარქისტებისაგან თუ ზუბატოვცებისაგან!

სიტყვები პარტიის ერთიანობაზე, ორი მიმდინარეობის საბოლოო შეერთებაზე, ცარიელი სიტყვებია ისეთი ბრძოლის შემდეგ, რომელიც ახლა პეტერბურგში ხდება სოციალდემოკრატებ შორის. ყოველი დადებითი მუშაობა შეჩერებას ლამობს, პარტიული აპარატი ველარ მოქმედებს შინაგან შებლა-შეჯახების მეოხებით, მაშინა ველარ ტრიალებს, პარტიის პრესტიჟს ხალხის თვალში სერიოზული საფრთხე მოელის.

ორიოდე სიტყვით გავითვალისწინოთ ამ კონფლიქტის ისტორია. პარტიის სიეზდზე ყოფილი „ბოლშევიკები“ უმცირესობაში დარჩენ. სიეზდმა პარტიის ტაქტიკა რეზოლიუციებით განსაზღვრა, რომლებს წინააღმდეგ „ბოლშევიკებმა“ ხმები მისცეს. სიეზდმა ცხოვრებაში ტაქტიკურ რეზოლიუციების გასატარებლათ აირჩია ც. კ., რომელიც უმეტეს ნაწილათ სიეზდის შეხედულების მომხრე ამხანაგებისაგან შესდგება.

ყველას ესმოდა, რომ შეერთების პირველი შედეგი უნდა ყოფილიყო ერთგვარი პრაქტიკული პოლიტიკა პარტიაში. მოძრაობა წარსულში დაქსაქსული იყო ცალცალკე ადგილობრივ რუებათ, შემაერთებელ ცენტრის უქონლობის მეოხებით. ახლა ასეთი პლანი შედგენილ იქნა იმ მიზნით, რომ მთელ რუსეთში ერთიანი პოლიტიკური კამპანია ყოფილიყო გატარებული, სიეზდის ტაქტიკურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ცენტ. კომ. შეუდგა მინდობილ საქმის გაკეთებას. მაგრამ თავდაპირველათ მას წინ დაუდგა კითხვა, როგორ უნდა უზრუნველ ყოფილ იქნას პარტიულ მუშაობის ერთიანობა, თუ ჯერ კიდევ პარტიაში ბუნებრივათ პრინციპიალური დავა-კამათია გაცხარებული სიეზდის რეზოლიუციების გამო? პასუხი ცხადი იყო, საჭიროა, რომ ეს დავა, რომელიც სრულიად თავისუფლათ წარმოებს პარტიის საზღვრებში, გადატანილ არ იქნეს იმ შეუგნებელ მასაში, რომლებსაც მხოლოდ ახლა იზიდავს სოციალდემოკრატია და რომელიც ჯერ კიდევ ჩამოსაშორებელია შავი რაზმიდან, ოქტომბრისტებიდან, კადეტებიდან, ზუბატოვცებიდან და სხვა ჩვენი მტრებიდან და მოწინააღმდეგეთაგან. გარეშე ხალხის წინ პარტია უნდა მოქმედებდეს, როგორც ერთიანი ორგანიზაცია და არავითარი მნიშვნელობა არ

---

*) ეს წერილი ადგილის უქონლობის გამო გუშინ ველარ დავბეჭდეთ და „პარტიის ცხოვრების“ განყოფილებაში კი შეცდომით მოხსენებული დაგვრჩა, თითქო ეს წერილი უკვე მოთავსებული იყოს გუშინდელ ნომერში.

აქვს სიტყვებს: „პარტიული დისციპლინა", თუ ადამიანს, რომელიც პარტიაში რიცხება, პროლეტარულ ან თუნდა ბურჟუაზიულ მასის წინ იერიში მიაქვს პარტიის პოლიტიკაზე, მის მიერ მიღებულ ტაქტიკურ რეზოლიუციებზე. ამ აზრით ც. კ.-მა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც პარტიის წევრებს ურჩევს—მასიურ კრებებზე კრიტიკას ნუ დაუწყებთ პარტიულ გადაწყვეტილებებსო.

ეს დადგენილება სიეზდმა ერთხმათ მიიღო. მაშასადამე, მას ხმა მისცეს ც. კ.-ის იმ წევრებმაც, რომლებიც, ბოლშევიკურ შეხედულებას ემხრობიან. ხაიმედო იყო, რომ ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიეღო ყველას, ვინც კი მარტო სიტყვით კი არ იფასებს ერთიანობას.

მაგრამ მეორე დღესვე გაზ. „ვოლნა"-მ „ბოლშევიკები" ასაჯანყებლათ მოიწოდა— ც. კ.-ის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც მან „კრიტიკის თავისუფლების" შეფერხებათ გამოაცხადა. ასეთი გადაწყვეტილების კრიტიკის უფლება მწერლობაში და პარტიულ კრებებზე, რა თქმა უნდა, ეკუთვნის პარტიის თვითეულ წევრს, ისე როგორც ყველას ეკუთვნის ის უფლება, რომ, თუ საჭირო იქნება, მოვითხოვოთ ც. კ.-მა და მომავალმა სიეზდმა შესცვალოს ეს გადაწყვეტილება. მაგრამ იმ ამხანაგებმა, რომლებსაც „ვოლნა" მიმართავდა, საქმე სხვაფრივ გადაწყვიტეს.

პეტ. კომ.-მა გამოაქვეყნა პროტესტი ც. კ.-ის გადაწყვეტილების წინააღმდეგ და მაშინვე მისმა წარმომადგენლებმა, თითქო ცინით აშკარა კრებებზე გადაიტანეს პარტიულ სიეზდის ყველა გადაწყვეტილებათა კრიტიკა. ამნაირათ პეტ. კომ.—ტმა თავისი „უფლებით" გააუქმა ც. კ.-ის გადაწყვეტილება და მით დაგვანახვა, რომ მას, პეტ. კომ.-ს სრულიათაც არ ესაჭიროება პარტიული ცენტრი. კითხვაა—ესაჭიროება თუ არა მას საზოგადოთ პარტიის ერთიანობა? ცენტ. კომ. შეუდგა თავისი თანამდებობის ასრულებას—დუმის გამოყენების შესახებ სიეზდის რეზოლიუციის ცხოვრებაში გატარებას. რეზოლიუცია ამბობს, რომ პარტია უნდა ცდილობდეს—დუმა რევოლიუციის ერთ-ერთ იარაღათ გადააქციოს და ამისათვის ისარგებლოს ყოველგვარი კონფლიქტით როგორც დუმის შიგნით სხვა და სხვა კლასთა და პარტიებ შორის, ისე დუმასა და მთავრობას შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, დუმის მოქმედების პირველ ხანებში მეორე გვარმა კონფლიქტმა დაიჭირა პირველი ადგილი—კონფლიქტმა დუმასა და მთავრობის შორის. ამ კონფლიქტმა მიიზიდა მთელი ხალხის ყურადღება, ც. კ. ვალდებულია, სიეზდის რეზოლიუციის ძალით, გამოიყენოს ეს კონფლიქტი და ამ მიზნით მთელი პროლეტარიატი მოიწვიოს დუმისათვის მხარის დასაჭერათ მთავრობასთან ბრძოლაში და დუმაზე ძალის დასატანებლათ, რომ ეს კონფლიქტი გამწვავებულ და გაფართოვებულ იქნას. ამ აზრით ც. კ. ორგანიზაციებს წერილებით გეგმა მიაწოდა, რომელიც იწვევს პროლეტარიატში ერთგვარი რეზოლიუციის გატარებით დუმისათვის მხარის დაჭერის შესახებ ბიუროკრატიულ სამინისტროს დასამხობათ და თავდები პროლეტარიატის მასსიური ორგანიზაციით (შეკავშირებით) შემდეგში დუმაზე და მის პარტიებზე მუდმივი ძალდატანების მოსაწყობათ და მათ გადასაქცევათ რევოლიუციონურ იარაღათ. ამ წერილს წინააღმდეგობა არ გამოუწვევია არც ორგანიზაციების მხრივ და არც პრესაში. მაგრამ როდესაც ამ წერილს შემდეგ ც. კ. მთელ რუსეთში დააგზავნა რეზოლიუციის პროექტი, რომ ლიც მთელი რუსეთის პროლეტარიატის სახელით უნდა წარდგენილი ყოფილიყო—დუმაში, „ვოლნამ" კვლავ „აჯანყების" დროშა აღმართა, და პეტ. კომ. კვლავ არ იკმარა რეზოლიუციის „კრიტიკა" და არა თუ უარი თქვა მის გატარებაზე, არამედ ყოველ ღონეს ხმარობს „ჩაშალოს" ეს რეზოლიუცია მასიურ კრებებზე, სადაც ისე საძაგელ სცენებს მართავს, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ. პ. კ. ცდილობს ისე დაგვარწმუნოს საქმე, თითქო ც. კ. რეზოლიუცია „პრაქტიკული მოქმედება" კი არ იყოს, არამედ მხოლოდ „აზრი" (мнѣніе). მაგრამ ყველა ხედავს, რომ ეს მართალი არ არის, რომ დავა აქ იმაზეა, მხარი უნდა დავუჭიროთ თუ არა დუმას მთავრობასთან ბრძოლაში, თუ მხარი უნდა დავუჭიროთ მხოლოდ შრომის ჯგუფს კადეტებთან ბრძოლაში? ყოველი დავა მუდამ ამ კითხვას უტრიალებს გარშემო. მაშასადამე, აქ ლაპარაკი არა „აზრის" შესახებ, არამედ იმაზე, რომ პროლეტარიატი მზათ იყოს მხარი დაუჭიროს დუმას, რამდენადაც ეს უკანასკნელი ბიუროკრატიულ სამინისტროს დასამხობათ იბრძვის. რასაკვირველია, ყოფილი „ბოლშევიკები" ასეთ მხარის დაჭერას მავნებელ საქმეთ რაცხენ, მაგრამ რაკი ისინი პარტიადან არ გამოსულან, ნება არ აქვთ სიეზდის მიერ მიღებულ პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძოლონ. ეს პოლიტიკა კი მოითხოვს, რომ დუმას ამ შემთხვევაში პროლეტარიატი მხარს უჭერდეს. მართალია პ. კ. „ვოლნის" წერილების ზეგავლენით, ახლა ამის შესახებ დავას იწყებს, სულ ცოტა ხნის წინათ, თვითონ აღიარებდა, რომ სიეზდის მიერ მოწონებული ტაქტიკა გვიბრძანებს მხარი დავუჭიროთ დუმას, როგორც მთელს, მთავრობასთან ბრძოლაში, სახელდობრ „ამას წინათ პეტერბურგის კომიტეტმა გამოსცა დეკლარაცია დუმის მიმართ შესახებ ჩვენი ტაქტიკისა. ამ დეკლარაციაში, რომელიც არკვევს სიეზდის რეზოლიუციას და რომელიც ერთხმათ იქნა მიღებული აშკარათ აღიარებულია, რომ დუმა შესაძლებელია გადაიქცეს რევოლიუციის მძლავრ იარაღათ და საჭიროა მასსა მთავრობით მხარი დაუჭიროს დუმას ყოველ რევოლიუციონურ ნაბიჯს, რომელიც მიმართული იქნება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბ კომ. გამოიცვალა აზრი და ეხლანდელ რეზოლიუციაში სულ უარყოფს მას. ეს წინააღმდეგობა მოწმობს ეხლანდელი პეტერბურგის კომ. უვარგისობას, მარა ის მაინც ამტკიცებს, ვითომ ც. კ. რეზოლიუცია არ ეთანხმებოდეს სიეზდის გადაწყვეტილებას.

მარა თუ გინდ ასეც ფიქრობდეს პეტ. კომ., მას აქვს უფლება მოითხოვოს ახალი სიეზდი ცენტ. კ. ხელახლა აარჩევათ, რომელსაც არ შეეძლია ცხოვრებაში გაატაროს პარტიის აზრი და სურვილი. პოლიტიკური კამპანიის ჩაშლას ნება, რომელიც ც. კ. მთელ რუსეთში უნდა გაატაროს, მას არ აქვს და რასაც ამ მხრით ის ჩადის პარტიის დეზორგანიზაცია და შეგნებულათ თუ შეუგნებლათ რასკოლის გამოწვევაა.

სურთ რომ პეტერბურგის მუშებმა ხელი შეუწყონ პეტ. კომ. ამ კეთილ საქმეში? ამ კითხვაზე უფლება აქვს პასუხი მოთხოვოს მათ ყველა პარტიის წევრს და ყველაზე უწინ კი „ბოლშევიკ"—მუშებს. „მენშევიკ" მუშებმა თავისი მოქმედებით დაამტკიცეს, რომ პარტიის ერთობა მათთვის ცარიელი სიტყვა არ არის. როცა ჯერ კიდევ საერთო ცენტრი არ გვყავდა და პარტიის გადაწყვეტილება ხელთ არ გვქონებია და თვითეული ორგანიზაცია ცალკე წყვეტდა სოციალდემოკრატიის პოლიტიკას, მაშინ „მენშევიკი" მუშები არა თუ ცდილობდენ ბოიკოტის ჩაშლას, რომელიც ორგანიზაციათა უმრავლესობამ მიიღო, არამედ აქტიურათ ხელს უწყობდენ მას ცხოვრებაში გატარებას. ვიბორგის, ქალაქის და ვასილევის რაიონებში, სადაც პარტიული მუშების უმრავლესობა ბოიკოტის წინააღმდეგი იყო—ეს ბოიკოტი მშვენიერათ გატარებულ იქნა „მენშევიკების" დისციპლინის მეოხებით.

ეხლა რიგი „ბოლშევიკ"მუშებზეა. პეტ. კომიტ. და „ვოლნის" ინტელიგენტებმა გადააჭარბეს, მათ ფრაქციის ინტერესები პარტიის ინტერესებზე მაღლა დააყენეს. „ბოლშევიკი" მუშები კი ხმას არ იღებენ. ისინი თავისი დუმილით ხელს უწყობენ დეზორგანიზაციას და თავისი ხელით კრეფენ ნარს იმათთვის, ვისაც ეს რასკოლი უნდა. ან-და შეიძლება იმათ სწამთ ისეთი სასაცილო საბუთი, ვითომ კომიტეტების ავტონომიის ძალით პეტ. კომიტეტს აქვს უფლება თავისი პოლიტიკა აწარმოვოს, მოსკ. კომ. კიდევ თავისი და ასე ბოლომდის".

თუ მათ ასე ესმოდათ ავტონომია, რათ ცდილობდენ შეერთებას? „თუ პარტიის შეერთება არ გვაძლევს ერთ სავალდებულო პოლიტიკას, რისთვის ისევ ცალ-ცალკე არ დარჩა ფრაქციები? თუ შეხედულებათა განსხვავება ნებას არ გვაძლევს ერთად ვიმოქმედოთ, ისე, როგორც მოქმედობს „ბუნდი" და სოც.-რევ., რომელთა შორის ცოტა უთანხმოება არ არის, მაშინ რისთვის შევერთდით? თუ ც. კ. პოლიტიკა, ბოლშევიკების შეხედულებით, პროლეტარიატს ხალხის თავისუფლებით მოვაჭრე მაკლერებათ ხდის, მაშინ რისთვის უნდა დავიცვათ პარტიული ერთობა, რისთვის არ უნდა გავიყოთ? თუ არავითარ საერთო ტაქტიკას არ შეგვიძლია დავადგეთ, უმჯობესი არ არის ვაღიაროთ რომ უღვარძლო ჩხუბი უკეთესია ღვარძლიან ზავზე?

განა აშკარა არ არის, რომ თუ ჩვენ ასე დავიწყეთ ერთმანეთს ბრძოლა, მაშინ პოლიტიკური მოქმედება შეუძლებელი გახდება, და ჩვენ ველარ გავცილდებით დაუსრულებელ დისკუსიებს, სანამ სტიქიური ამფეთქება არ მოგვესწრობს კიდევ „მოუმზადებლებს". უნდათ კი „ბოლშევიკ" მუშებს რომ ჩვენ ვიმყოფებოდეთ ამნაირ მდგომარეობაში? თუ არ სურთ, მაშინ დევ იცოდენ, რომ შესაძლებელია გატარდეს ცხოვრებაში ორი ტაქტიკა: ან ც. კ-ტის ან „ვოლნის" და „ვპერიოდის" ამ გაზეთების ტაქტიკა, როგორც თვითონაც აღიარებენ, უარყო სიეზდმა. ც. კ. კი გამოიმუშავა თავისი ტაქტიკა როგორც ორგანომ სიეზდის მიერ უფლებებით აღჭურვილმა. მაშ არჩევანი აშკარა.—ან უნდა დავემორჩილოთ სიეზდ-ს გადაწყვეტილებას საქმით, და არა სიტყვით, ან-და გემზადოთ ახალი რასკოლისათვის. მაგრამ საჭიროა ვიჩქაროთ, რომ ჩვენ ჩვენი დაუსრულებელი კამათით ხელი არ შევუშალოთ პროლეტარიატს მის ბრძოლაში. მაშ გავითიშოთ პროლეტარიატი ერთმ მათ და საფუძვლიანათ, სანამ გავრყვნიდეთ მას პარტიული ბ/ ძალით ერთ და იმავე პარტიაში!

თუ „ბოლშევიკი"—მუშები აუცილებელ საჭიროებათ სცნობენ პარტიის მთლიანობას, მაშინ ისინი გაიგებენ ჩვენს მოწოდებას და იმასაც, თუ როგორ უნდა იმოქმედონ. თუ რომ ისინი ცნობენ საჭიროთ პარტიის ერთობას, მაშინ არ წამოაყენებენ იმ მოსაზრებას, ვითომც კომიტეტების ბელადი ინტელიგენტები ქმნიდენ რასკოლს, ეს ტყუილია: ბელადები შეიძლება ცდილობდენ რასკოლის გამოწვევას, მაგრამ მუშებზეა დამოკიდებული (თუ ისინი მომწიფებული და გულწრფელი პარტიის წევრები არიან) მიიყვანებენ საქმეს რასკოლამდის თუ არა. „მენშევიკ" მუშებმა ბოიკოტის ტაქტიკაზე კამათის დროს გამოიჩინეს საკმაო სიმწიფე და პატიოსნება იმისთვის, რომ უზრუნველ ეყოთ მოქმედების ერთგვარობა და პარტიის ერთიანობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმდენსავე სიმწიფეს და პატიოსნებას გამოიჩენენ ამხანაგი „ბოლშევიკებიც".

თუ პარტიის მთლიანობა და ერთსულოვნება საჭირო არ არის, მაშინ იჩქარეთ გახსნათ ეს ხლართი, რომელიც ყველას გვიკრავს ხელებს. „რასაც აკეთებ, გააკეთე ჩქარა!"

ლ. მარტოვი.

ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას

8 ივნისს შესრულდა ერთი წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ დაკარგა ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი. სწორეთ ერთი წლის წინათ თვალცრემლიანი ვწერდი საშას მოკლე ბიოგრაფიას, რადგან ქალაქში მყოფ სხვა ამხანაგებზე უფრო დაახლოვებით მე ვიცნობდი მის ცხოვრებას. ვტიროდით ყველა მისი მეგობრები, თუმცა დარწმუნებული ვიყავით რომ საშას სიკვდილი შეუძლებელი იყო, ვიცოდით, რომ „საშა და სიკვდილი, ორი შეურიგებელი ცნებაა" იყო, როგორც მშვენიერათ თქვა ერთმა ამხანაგმა მის კუბოს წინ. ვიცოდით და გვწამდა, რომ საშას სახელი უკვდავი იქნებოდა, რადგან მან შესძლო თავისი სახელი სისხლის ასოებით ჩაეწერა იმ დიადი ბრძოლის ისტორიაში, რომელსაც რუსეთის დიდი რევოლიუცია ეწოდება და სამუდამოთ დაუკავშირა იგი რუსეთის პროლეტარიატის დიდებულ მოძრაობას. მაინც ვტიროდით, რადგან საუკეთესო მებრძოლი გამოეცალა პარტიას სწორეთ იმ დროს, როცა უკანასკნელის მოქმედება ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. მით უფრო საგრძნობელი იყო ეს დანაკლისი, რომ მუშათა პარტიას ჩვენში ცხოვრებამ დააკისრა არა მარტო სოციალდემოკრატიული, არამედ დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელობაც. ასეთ პირობებში ყოველი მუშაკი ძვირფასი იყო პარტიისთვის, ხოლო საშა წულუკიძე კი უძვირფასესი, რადგან იგი საუკეთესოთ მომზადებული და [illegible] უკვე გამოწრთვნილი რევოლიუციონერი იყო. იმავე დროს იყო გამწვავებული ჩვენში ფრაქციონული ბრძოლა, თუ კი გვწამს რომ ეს ბრძოლა პიროვნებათა გარეშე მყოფი, რეალური პირობებისაგან იყო წარმოშობილი, რომ ამ ბრძოლამ ყველა შეგნებულ წევრს გადაახედვინა პარტიის მთელი მსოფლმხედველობა, გადაასინჯვინა, როგორც ტაქტიკური, ისე ორგანიზაციული კითხვები და მით პარტია გამოაფხიზლა, გააძლიერა და განამტკიცა, მაშინ ყველა დამერწმუნება, რომ საშა წულუკიძის ასეთ დროს დაკარგვა კიდევ უფრო საგრძნობელ იყო—მას შეეძლო თავისი წვლილი შეეტანა პარტიის თვითგამორკვევის საქმეში. ამისი თავდები იყო მისი პრაქტიკული მომზადება და ფართო ერუდიცია. კერძოთ მისი მეგობრებისთვის არც ის არის ნაკლებ გულის დამწყვეტი რომ საშას არა ხვდა წილათ დაენახა პარტიის ის დიადი გამოსვლანი, რომელთაც მოვესწარით მისი ამხანაგები. პირადათ მე თვით სიზმარისებურათ გამქრალ ოქტომბრის დღეებშიაც ყოველ მიტინგზე თვალ-წინ მედგა მისი სახე. და არა ერთხელ მიფიქრია ბედის უსამართლობაზე, რომელმაც ისე უდროოთ მოწყვიტა პროლეტარიატის პარტიის საუკეთესო ყვავილი არ მოესწრო საშას არც ის, მისთვის მუდამ სანატრელი, დღე, როცა მისი პარტია შეერთებულათ მოქმედებას შეუდგა. ყოველივე ამის წარმოდგენა კიდევ უფრო გვიწყლულებს მისი დაკარგვით დაკოდილ გულს, მაგრამ როგორც შარშან ისე წელსაც მოგონებაზე მისივე სიტყვებით ვინუგეშებთ თავს. გვწამს, „იდეა გაიმარჯვებს", ის იდეა რომლის სამსახურსაც მან შეალია თავისი ძალ-ღონე, რომლის გამარჯვებისათვის მან უარყო ყოველივე „მიწიერი" სიტკბოება.

მართალია, საშა არ განგმირულა მტრის ტყვიით, მაგრამ მაინც თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი სწორეთ ბრძოლის ველზე დაეცა, დაეცა როგორც მსხვერპლი დახავსებულ რეჟიმისა, მას ერთი წუთითაც არ გაუგდია ხელიდან ბრძოლის იარაღი და უკანასკნელ სულის ამოსუნთქვამდი ღირსეულათ ატარებდა პროლეტარიატის წითელ დროშას. ამ ბრძოლამ შეუმოკლა საშას სიცოცხლის დღენი, მაგრამ ამავე ბრძოლამ, მხოლოდ ამან, იმ ზომამდე აავსო შინაარსით ეს ხან მოკლე სიცოცხლე, რომ ახლობელ ამხანაგებსაც ვერ გვეკისრნია დღეს მისი აღწერა, და ამიტომ იძულებული ვართ უფრო მარჯვე დროისთვის გადავდვათ ამ წმინდა მოვალეობის შესრულება.

მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ დაუშლის კავკასიის პროლეტარიატს მადლობით და პატივისცემით მოიგონოს უდროოთ დაკარგული ხელმძღვანელი ამხანაგის სახელი, რადგან როგორც ზევითაც ვთქვი, მთელი მისი ცხოვრების შინაარსი პროლეტარიატის საკეთილდღეოთ ბრძოლით განისაზღვრება. იბრძოდა საშა წულუკიძე თქვენთან ერთათ, პროლეტარებო, თფილისში, ქუთაისში, ბათომში, ჭიათურაში, ბაქოში, ქალაქში და სოფელში, ყველგან, სადა კი შენ იტანჯებოდი და იყველიფებოდი, და რადგან შენ ჯერ კიდევ ყველგან წამებული ხარ, ვერ დაივიწყებ ვერც მას შენთვის და შენთან ერთათ წამებულს, ხოლო როცა შენ მიაღწევ აღთქმულ ქვეყანას, მაშინ კიდევ უფრო სიამოვნებით მოიგონებ მის სახეს, რადგან ასეთი ამხანაგები არიან უკეთესი მომავლის გზა და ხიდი. მოიგონეთ დღესაც, თუმცა თქვენ ცხოვრებაში მეტათ მძიმე და სახიფათო დრო არის, რადგან ყველას თქვენ მოტყუება და ჩათრევა უნდა, თქვენი სისხლით უნდათ იყიდონ თავისუფლება და თქვენ კი არა რა გარგონ, მოიგონეთ დაკარგული ამხანაგი სწორეთ დღეს, რადგან მისი სახე და მისი საქმე გეტყვის, თუ როგორ უნდა დაახწიოთ თავი ამ გასაჭირს; მისი მაგალითი წაგახალისებსთ უკეთესი მერმისის მოსაპოებელ ბრძოლისათვის და გაგიმტკიცებსთ რწმენას, რომ ნამდვილათ გაიმარჯვებს ის დიდებული იდეა, რომლის მატარებელი ხართ თქვენ, ჩაგრული და დღემდინ ყველასაგან დაბრიყვებული კლასი. საშა წულუკიძე ამოგძახებთ საფლავიდან, რომ მხოლოდ თქვენ ხართ თქვენი ბედის მჭედელი, თქვენი მარჯვენაა თქვენი განმათავისუფლებელი! ის გეტყვით, პროლეტარებო, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ სამუდამოთ დაამსხვრიოთ ხალხთ ბორკილი. მაშ, ქედი მოიხადეთ ძვირფასი საფლავის წინ და უთხარით დიდება შეუპოვარ თავგანწირულ მებრძოლ ამხანაგის ხსოვნას!..

ახალი ამბები

◆ თფილისის **ელექტრონის ტრამვაის** უსახელო საზოგადოების დირექტორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ თფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა მას 1906 წლის 12 იანვარს გამოერიცხა სამსახურიდან ტრამვაის ყველა ის მოსამსახურენი, რომელნიც გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით მაშინ დაპატიმრებულ იქნენ. რადგან ამ ჟამათ თითქმის ყველგან—ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილებებში და სხვ. გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის დათხოვნილი და დაპატიმრებული მოსამსახურეები ყველანი უკანვე იქნენ მიღებულნი, ამისათვის დირექტორი თხოვს ქალაქის გამგეობას, შუამდგომლობა აღძრას გენერალ-გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს ამ უკანასკნელმა დირექციას უკანვე მიიღოს ტრამვაის ყველა მოსამსახურენი.

◆ ფინანსთა სამინისტროს დაუდგენია: გაიცეს სესხი სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებიდან **აბრეშუმის პარკის დაგირავებით.**

◆ ახალ-სენაკიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამას წინათ **დაუჭერიათ** ბიქტორ [illegible] დარიშვილი.

◆ იქიდანვე გვატყობინებენ, რომ სოფ. ძონძორში ამას წინათ ვიღაც შეიარაღებულ უცნობთ **უცემიათ** თავ. მხეიძის მიწების მომუშავე გლეხებისთვის. ამ უკანასკნელთ ეს მიწები სამესამედოთ ქონიათ აღებული. უცნობთ გლეხებისთვის ერთი კამეჩი მოუკლავთ. სამაზრო ადმინისტრაცია დაფაცურებულა და ხსენებულ სოფელში ყაზახები გაუგზავნიათ.

◆ „კახეთის" საზოგადოების მუშათა და მოსამსახურეთა მოთხოვნები უკვე დაკმაყოფილებულ იქნა.

◆ ადგილობრივ **კადეტთა პარტიის ბიურომ** დაადგინა გახსნას ქალაქში თავის წევრთათვის კლუბი. იმავ ბიურომ წინადადებები დაუგზავნა პროვინციაში თავის წევრებს თავიანთი აზრი გამოსთქვან აგრარულსა და სხვა საკითხებზე, რომელიც [illegible] პარტიის პროგრამაში შედის.

◆ 12 ივნის ქალაქის საბჭოს **მორიგი სხდომა** ქონდა. სხვათა შორის ა. ბაბუ ილაპარაკა თფილისის გენერალ-გუბერნატორის მოქმედებაზე, რომელიც თფილისის **სტამბებს ხურავს** და უსაქმოთ დარჩენილების რიცხვს კიდევ მატებს მუშებს. ბ-ნმა დოლუხანოვმა სურვილი განაცხადა ამ საგანზე საბჭოს მომავალ სხდომას დასაბუთებული ვრცელი მოხსენება წარუდგინოს.

◆ ამ დღეებში ბაქოში მომხდარა კასპიის სავაჭრო ფლოტის **მეზღვაურთა კრება.** კრებას 400-მდე კაცი დასწრებია ამათ ეკონომიურ მოთხოვნილებების შემუშავების გარდა დაუდგენიათ: 1. მოითხოვონ განახლდეს გენ. ლეიტენანტ ფადეევისაგან დახურული „კავშირი ბაქოს მეზღვაურებისა", 2. შეუერთდენ საერთო გაფიცვას, თუ იგი მოხდა და 3. მხარი დაუჭირონ სახელმწიფო დუმას.

◆ თფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებამ თხოვა ქალაქის საბჭოს ნება დართოს ავჭალის ცხენის რკინის გზა 190 წლის 14 მარტის ხელშეკრულების ძალით საერთო ელექტრონის ტრამვაის შემოუერთოს. **ავჭალის გზის** პატრონთა რწმუნებულმა ნაფ. ვექ. დ. ყორღანოვმა განუცხადა ქალაქის საბჭოს, რომ თავის მხრით იგი წინააღმდეგი არაა უსახელო საზოგადოების წინადადებისა.

◆ **ნაძალადევის მცხოვრებლებმა თხოვეს** თფილისის ქალაქის გამგეობას დაავალოს ამ უკანასკნელმა ელექტრონის ტრამვაის უსახელო საზოგადოებას, რომელსაც სურს ავჭალის ცხენის რკინის გზა ელექტრონის ტრამვაის შემოუერთოს, გაუყვანილ იქნას ავჭალის გზიდან გზა ნაძალადევისკენაც და სამგზავრო ფასი 3 კაპ. დაწესდეს.

◆ თფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორმა პოლიცმეისტერის საშუალებით წინადადება მისცა ქ-ნ **წილოსნისას** შემოიტანოს ჯარიმა 3000 მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეში სამი თვით იქნება დამწყვდეული თვით გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით. მას წამებენ, თითქოს იმის სახლიდან (წყნეთის ქუჩაზე) **ესროლოთ ყუმბარა** თავ. გიორგი ამილახვრისთვის.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „საქართველოს ისტორია", ტ. I. უძველეს დროიდან 985 წლ. ქრ. შ. მ. გ. ჯანაშვილისა. წიგნი 400-მდე გვერდს შეიცავს და ღირს 1 მან.

დუმა და ხალხი

პეტერბურგი, თავრიდის სასახლე—მუშათა ჯგუფის წევრს ისიდორე რამიშვილს.

„ჩვენ გავიგეთ, რომ მთავრობა აპირებს თქვენს (ჯგუფის) სამართალში მიცემას და „კანონიერ ნიადაგზე" გამორიცხვას სათათბიროდან. თქვენს წინააღმდეგ დევნა მთელი პროლეტარიატის დევნა იქნება. თქვენი გამორიცხვა—ეს მთელი პროლეტარიატის უფლების შელახვა და გაქელვა იქნება. ჩვენც, აღშფოთებულნი მთავრობის ასეთი ძალ-მომრეობით, პროტესტს ვუცხადებთ მას. თქვენ კი, ამხანაგო არ შედრკეთ ასეთი მტარვალობის წინაშე. პირიქით თქვენ მოითხოვეთ ხალხის სახელით ჯალათების სამართალში მიცემა. განაგრძეთ მედგარი ბრძოლა. მოითხოვეთ ამნისტია, მიწა, თავისუფლება, სახალხო დამფუძნებელი კრება ჩვენ კი მუდამ თქვენთან ვართ. საკმარისია თქვენი პირველი მოწოდება, რომ ჩვენც მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დავდგეთ".

ქუთაისის ნოქართა საერთო კრება.

მუშათა პროტესტი ანარქისტების წინააღმდეგ.

ქუთაისის რკ. გზის სადგურის მუშათაგან.

ცნობილ ანარქისტები დღიდან თავის „მოღვაწეობის" დაწყებისა ჩვენში, მხოლოდ სოციალდემოკრატიის ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებიან თავის მკითხველებს და ამ მათ ბინძურ ლანძღვა-გინებას, მიმართულს სოციალდემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ, ბოლო თუ არ უჩანს, პირიქით, თითქოს წაქეზებულებმა სოციალდემოკრატიის დროებითი მიაღწევარებით, უშვერალეს წერტილამდე წავიდნენ ახალ გამოსულ თავის ორგანო „მუშის" ფურცლებზე, რასაც ზედ დაურთეს საზიზღარი პროვოკაციული და დაბეზღებითი ცილისწამება, რომ თითქოს სოციალდემოკრატია უსირცხვილოდ ატყუებდეს და ძარცვავდეს ხალხს, თითქოს ის (ს.-დ.) თავისი მოქმედებით მხოლოდ პროვოკაციის ცეცხლის ხალხში და დაღუპვისაკენ მიჰყავდეს ის და სხვ. ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ ანარქისტები იმისთანა საშინელი საშუალებასაც კი არ ერიდებიან, როგორიც არის ქუჩური სიტყვებით ლანძღვა-გინება და ცილისწამება, ოღონდ მით თავის მიზანს მიაღწიონ, ხალხის თვალში სოციალდემოკრატიის მნიშვნელობა დაეცეს და გაელენა დასცენ და მას როგორმე ჩირქი მოსცხონ, რასაც ვგონებთ, არ ჩაიდენს არც ერთი თვით გონება დაკარგული ქუჩის მაწანწალა,—ჩვენ, ქუთაისის სადგურის მუშები, სასტიკ პროტესტს და ზიზღს ვუცხადებთ ანარქისტებს მათ უგვანო ქცევისათვის და თან ვაფრთხილებთ: შემდეგში ისეთი უმსგავსო და უტიფარი ლანძღვა-გინებით ნუ იხსენიებენ იმ პარტიას, რომლის დროშის ქვეშაც ჩვენ, მუშები, ვიბრძვით და რომლის ცხოველმყოფელი მოძღვრების გამარჯვება ჩვენ ასე ღრმათ გვწამს. ქუჩაში აღზრდილი ტალახის და სიბინძურის ტორცხნით ისინი სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის ვერაფერს დააკლებენ და მით ფონს ვერ გავლენ; მხოლოდ ამ ტალახით და სიბინძურით თვითონ ჩამოიტალახებენ და ჩამოიბინძურებენ თავის პირის სახეს. სჯობს, ბატონებო, იდეიური ბრძოლა გასწიოთ და თქვენი მოძღვრების უპირატესობა და უკეთესობა ჩვენთვის დაგვიმტკიცოთ ჩვენ, მუშებს.

გარდა ამისა „მუშის" რედაქციას, რომელიც უნდა წარმოადგენდეს იდეიურათ მოწინააღმდეგეთა ბანაკს და რომელიც ნამდვილათ კი წარმოადგენს ყოველივე კეთილ-შობილება მოკლებულ და ზნეობრივათ დაცემულ ადამიანთა ბუნაგს,—ამ რედაქციას წინადადებას ვძლევთ თავის ლანძღვის ორგანოს „მუშის" სახელით ნუ ასაღებს, რაც ჩვენ ჩვენდა დასამცირებლათ და ჩირქის მოცხებათ მიგვაჩნია და მით საზიზღრათ ნუ ხდის თვით **მუშის** სახელს.

დასასრულ ჩვენ, ქუთაისის სადგურის მუშები, მოვიწოდებთ ყველა მუშა ამხანაგებს, ვინც კი სოციალდემოკრატიულ პარტიის მუშის სისხლით შეღებილ წითელი დროშის ქვეშ იბრძვის, სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადონ ანარქისტების ორგანო „მუშას", სადაც ეს ვაჟბატონები ყოველგვარ სიბინძურეს და საზიზღარ ცილისწამებას ფენენ მუშათა პარტიის საწინააღმდეგოთ. და ეს მანამდი სანამ არ მოიშლიან თავის უგვანო და საზიზღარ საქციელს.

პროვინცია.

სურამი. კარგა ხანია ჩვენს დაბაში რევოლუციონური სული თითქო გაქრა. მხოლოდ რეაქციონერები დღესასწაულობენ დროებით გამარჯვებას. ადგილობრივმა რეაქციონერებმა მრავალჯერ „სახელეს" თავი. თითქმის ყოველ საღამოს ასტეხენ თოფების ჩახა-ჩუხს, რომ მეტი რეპრესიები გამოიწვიონ. მიზეზათ რაზმელების შემოსვლას ასახელებენ. 28 მაისს ყრილობა იყო დანიშნული ბოქაულის თანაშემწის და სტრაჟნიკების მოწვევის თაობაზე. ეს მესამე ყრილობაა ამ საქმეზე, მაგრამ ხალხს მაინც ვერ გამოუთქვამს თანხმობა. ყრილობის დროს სამი კაცი დააპატიმრეს, რასაკვირველია ამ მიზეზით რომ უარი განაცხადეს უსაქმო ხალხის სარჩენათ ფულის გადახდაზე. ამ პოლიციური ხრიკით ბოქაულს ხალხის დაშინება უნდოდა, მაგრამ მოსტყუვდა. ხალხმა ერთხმათ მოითხოვა უმიზეზოთ დაჭერილ ამხანაგების განთავისუფლება.—თუ არ გაუშვებთ ჩვენც თან წამოგვყვებითო. ბოქაულმა ვეღარ მოახერხა მათი თან წაყვანა და მამასახლისს გადასცა, მეორე დღეს გასაგზავნათ. ვნახოთ როგორ გაუმასპინძლდება ბოქაული უდანაშაულოთ დაჭერილებს.

—

ქიზიყი. „ბედნიერია" ჩვენი მხარე ახალი მაზრის უფროსის არჩილის მოსვლით. ცნობილი ალიხან-გრილოვ ბიჟურებთან ჯერ ვერ გამოუთოს ფეხს, მაგრამ სურვილი დიდი აქვს ამ სისხლით ძმებს წაეტოლოს. ქიზიყელებს მტკიცეთ ქონდათ გადაწყვეტილი: მთავრობისათვის არ მიეცათ სალდათა და გადასახადები. მამასახლისები ვერ ბედავდნენ „ფოშტის ფულის" ხსენებასაც კი. ახლათ მოვლენილმა არჩილმა, სხვა და სხვა მუქარით, ჯერ სალდათები გამოგვართვა და შემდეგ გადასახადების აკრეფას შეუდგა.

25 მაისს, ბოდბის ხევის მამასახლისს კით მილდანიშვილს რაღაც გრძელი რკინით თავი გაუტეხა. იმავე დღეს ამ ლაგამ აწყვეტილ ადმინისტრაციის ძალზე უცემია და ყურით უთრევია იელანლის მამასახლისი. ასეთივე ბედ დაუქვენებია ჯუგანის მამასახლისისათვის.

შეჰკვლია იკითხავთ მიზეზს ასეთი მხეცურ საქციელისას! მიზეზი ის გახლდათ, რომ ამ საზოგადოებებში ცოტა „ნედოიმკება" დარჩენილიყო აუკრეფელი.

26 მაისს სოფ. ზემო მაჩხაანს ეწვია ბოქაული რედოკონი, რამოდენიმე სტრაჟნიკის თანხლებით. ის ავიდა კანცელარიის ბალკონზე და კარგა ხანს დაჰყურებდა ხალხს. დამსწრეთ მოთმინების დაკარგვით და ერთმა გაბედა: „დღეს საქმის დღეა და თუ საქმე არა აქვთ, რაღაც გვაცდენთო". ასეთი ურჩი სიტყვები არ მოეწონა თავ-მომწონე ბოქაულს და განრისხებულმა მიმართა სტრაჟნიკებს: **братцы! заряжайте ружья... стрѣляйте**" თითონაც იძრო ხმალი და ხალხს მიაშურა. ხალხი შეშინდა და კინაღამ გაიფანტა, მაგრამ ისევ შებრუნდა და ბოქაულს გარს შემოერტყა. მღელვარება იმდენათ ძლიერი იყო, რომ იქვე გაილახებდნენ ამ თავგასულ ჩამეულს, ერთი დამსწრეთაგანი რომ არ ჩარეულიყო საქმეში და რეაქციონი არ გაეჭარბებია. უნდა ენახა კაცს ამ „გმირის" ფერ-მიხდილი სახე, რომ დარწმუნებულიყო თუ როგორ სასიათზე დააყენა ის მისივე უგუნურებით გამოწვეულმა ამბავმა. თუ 20 სტრაჟნიკი არ დამრჩა მე აქედან ვერ წავალო, იძახოდა ეს ვაჟბატონი და რის ვაი-ვაგლახით დაუმტკიცეს, რომ ხალხი მას არაფერს დაუშავებდა.

—

კავკავი. აღდგომის წინა დღეებში, როგორც ამბობენ, ერთის გაპროვოკატორებული ამხანაგის აგიმა ლებედევის წყალობით, აქაურმა პოლიციამ დაიჭირა თერგ-დაღესტნის ს. დ. მ. პარტიის კომიტეტის სტამბა. თუმცა დიდი და საგრძნობელი მარცხი იყო, მაგრამ აქაურის ამხანაგების მეოხებით და მეცადინეობით ორგანიზაციამ ჩქარა მოახერხა ახალი სტამბის მოწყობა. პოლიცია დაფაცურდა და ფეხზე დადგა; მიმართა ისევ ძველ მეგობარ პროვოკატორს აგიმა ლებედევს. როგორც ამხანაგები გადმოგვცემენ, გახშირდა პროვოკატორის მიმოსვლა ჟანდარმის პოლკოვნიკთან: ერთს სახლი და ამაღლება აინტერესებდა, მეორეს—ფულები—ეს ახლანდელი დროის ღმერთი, რომელმაც ასეთი სიმდაბლე ჩაიდინა ყოფილ ამხანაგებში. უნდა შევნიშნოთ, რომ ლებედევს თურმე არავინ არ ეუბნებოდა (სხვა და სხვა მიზეზებისა გამო), რომ ის ამხანაგებს პროვოკატორათ მიაჩნდათ და ასე ეს უკანასკნელიც შეეცდა, გარეგნობითი ამხანაგური ნდობა გამოეყენებინა თავისი მიზნის მისაღწევათ. 27 მაისს ლებედევი შეხვდა ერთს ჩვენს ამხანაგს და დიდის გულმოდგინეობით დაუწყო ლაპარაკი: მე ძალიან მიწყინს, რომ ჩვენი ფურცლები უხეიროთ იბეჭდება; მე გრიგორიევთანა ვარ ასოთ-ამწყობათ, მოვიწყევ სტამბას, გადავიტანოთ თქვენს სტამბაში და ისევ ძველებურათ ვიმუშავებთ. რასაკვირველია, მაუხედავ საც იყო ძაღლის თავი დამარხული: იმას უნდოდა პოლიციისაგან მოწყობილი სტამბა გადაეტანა თერგ-დაღესტნის კომიტეტის სტამბაში, ოროვე ერთად გაეცა და თავისი სამარცხვინო საქციელი გაემეორებინა. მაგრამ საქმე სულ სხვანაირათ დატრიალდა. ამხანაგი დასთანხმდა, წავიდა და წამოიღო იმის სახლიდან სტამბა. გზაზე უეცრათ მოიხედა უკან და შეამჩნია, რომ ზემოდასახელებული ჯაშუში გამოუდგებოდა უკან ფაიტონით და შორი-ახლო მისდევდა. ამხანაგმა რამოდენიმე ადგილას გადაუხვია, მაგრამ ჯაშუში არ სცილდებოდა. ძალა უნებურათ ამხანაგმა მიიტანა იმ ადგილას სტამბა სადაც ს.-დ. ორგანიზაციის სტამბა იყო მოწყობილი. ჯაშუშმა, რომ შენიშნა ეს, ფაიტონი უკან გააბრუნა და დამშვიდებული გასდგა გზას. ამხანაგებმა გადაწყვიტეს: გადაიტანონ სტამბა სხვაგან, რადგანაც ყოველ წუთში მოელოდნენ პოლიციის თავდასხმას. ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს. როდესაც ყველაფერი მოილაგ-მოილაგეს, გაჩნდნენ ჯაშუშები იმ ადგილს, სადაც სტამბა ეგულებოდათ. უთვალთვალებდნენ სხვა ადგილას ხომ არ გადაიტანესო. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, რომ ამ ადგილას გაჩნდა ჟანდარმის პოლკოვნიკი მრავალი პოლიციელებით და ყაზახებით. შემოარტყეს გარშემო იმ სახლს, სადაც ლებედევს სტამბა ეგულებოდა. მხიარულად შებრძანდნენ სახლში და ვაი უბედურებავ! რამდენიმე ქაღალდის ნაგლეჯი და უვარგისი ფურცლები მოიწონეს, რომ აქ ოდესღაც სტამბა ყოფილა მოწყობილი. რამდენიმე ფუთი შრიფტი და სხვა სტამბის მოწყობილება ჩაუვარდა ხელში ადგილობრივმა ს.-დემ. ორგანიზაციამ. როგორც გადმოგვცემენ, თურმე ბევრი წინანდელი დაჭერილ სტამბის მოწყობილება ყრილა იმ სტამბაში, რომელიც აგიმა ლებედევს წარუდგენს. სახლი დაბეჭდეს და ორი გოროდოვოი დაუყენეს ყარაულათ, ეჭვი შეუდეს ვინმე და დაიჭირეთ. ასე დარჩა სახამწარალი აქაური პოლიცია.

აქეთ მუშაობა ისევ ძველებურათ ჩაიდის. დიდი მუშაობაა სალდათებში. ღვინის სარდაფებში მომუშავენი გაიფიცნენ, მაგრამ ისევ მალე შეურიგდნენ. გაიფიცა გათიდე, რადგანაც იმათი მოთხოვნილება კვირა დღით თავისუფლება. დააკმაყოფილეს. ხმები მოდის რომ სტანიცებში ინგუშებს და ყაზახებს შორის ხოცვა-ჟლეტაა.

მ. მ.

—

სოფელი ალისუბანი (შორაპნის მაზრა). მკითხველებმა უკვე იციან, რომ სოფელ ალისუბანში არსებობს სამასწავლებლო შკოლა (**второклассная учительская школа**). ეს შკოლა მით უმეტეს ყურადღების ღირსია, რომ მისი მასწავლებლები განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის დატყვევებულ იქმნენ და დღეს მათ ადგილზე მართებლობისგან გამოგზავნილი იქნენ სხვა მასწავლებლები. მაგრამ მათ უარესი დღე დაადგათ, ვიდრე პირველებს, 31 მაისს დ. ჩხარში, რომელიც მდებარეობს ოთხი ვერსის მანძილზე ხსენებულ შკოლიდან, უცნობმა პირებმა მოკლეს ვაჭარი ა. ჩარექოვი. მკვლელს, როგორც მოსალოდნელი იყო დაედევნა ადგილობრივი ბოქაული ყიფიანი, ჩაფრებით; რომელნიც უმეტეს ნაწილათ ხიზნები იყვნენ. როდესაც ბოქაული თავისი ამალით მიუახლოვდა ალისუბნის სკოლას, სამაშარო სროლა ასტეხა. შეშინებული მოსწავლეები ვაჟები და ქალები წივილ-კივილით დაიფანტნენ, მხოლოდ ზოგიერთი მოსწავლეები და მასწავლებლები ოთახში ჩაიკეტნენ. როდესაც სროლა შესწყდა, მასწავლებლებმა ფანჯრიდან გადიხედეს და შენიშნეს, რომ სასწავლებლის ირგვლივ ჩასაფრებულიყვნენ ჩაფრები, რომელთაც აწყიეს თოფები სასროლათ. ამ დროს მასწავლებლებმა ანიშნეს, რომ მათთვის არ ესროლათ. ჩაფრებმა თავის მხრით გარეთ გამოსვლა უბრძანეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ ამოხოცვით. შეშინებული მასწავლებლები გარეთ გამოცვივნენ და ბოქაულისაკენ გაემურნენ შესატყობათ, თუ რისთვის ემუქრებოდნენ ამოხოცვით. გაავთრებული ჩაფრები—ხიზნები პასუხის მაგივრათ დაერივნენ მასწავლებლებს თოფის თათებით. ერთს მათგანს, ავაკი გვალესიანს, ძალზე დაბეგვის შემდეგ, შუბლი გაუპეს; ლაზარე დარსაველიძეს კბილები ჩაამტვრიეს, სვეგრიან მხეიძეს მთელი სხეული დაუბეგვეს, რის შემდეგაც ღონე-მიხდილ მასწავლებლები უგრძნობლათ დაეცნენ ძირს. რიგი მიდგა მასწ. გ. მაურნაძეზე, რომელსაც გრძნობა დაკარგული ქალიშვილი (საქალებო სკოლის მასწავლებელი იქვე) ხელთ ეჭირა და ევედრებოდა შებრალებას. მხოლოდ ამ შემთხვევამ დაიხსნა იგი ცემისაგან. გარდა ამისა, რაც უფრო ძალზე ამაშფოთებელია ადამიანური გრძნობისათვის, როდესაც მასწავლებელი გვალესიანი სისხლიდან სწდებოდა და მასწ. მაურნაძე აწრიალდა საწყალთ ზომა მიეღო და ექიმთან კაცი გაეგზავნა, ერთმა ხიზანმა დაიდვა ხელი პატრონებზე და ხანჯალზე და საზიზღარის ღუჟნით ჩაიღრიალა: „ეს არის მაგის წამალი და ექიმიო." ყოველივე ამას ბ.-ბოქაული აუმღვრევლათ უცქერდა და სტკბებოდა ამ საშინელი სურათით. ამ დაუხოკავ ცემა-ტყეპის შემდეგ ბოქაულმა მოითხოვა რაზმელები, რომელნიც მათის ფიქრით ვითომდა შკოლაში უნდა ყოფილიყვნენ დამალულნი. განცვიფრებული და ცემით მეწყხებული მასწავლებელნი ერთმანეთს შესცქეროდნენ, რადგან არ იცოდნენ, რაში იყო საქმე. შემდეგ ამისა ბოქაულმა გაჩხრიკა სკოლა და მასწავლებლების სადგომები, სადაც უბრალო ნივთიც არ დაუყენებიათ გადაუფუჩხნელი, მაგრამ მათდა სამწუხაროთ ვერ იპოვეს რა თავიანთ გულის გასახარებელი. ამით დაასრულეს თავისი ჯალათური და საზიზღარი მოქმედება, ყიფიანმა თავის ამალით.

ჩხარელი.

მუშათა შორის

—

ახშაროვის სახერხავი ქარხანა. არც ერთ სახერხავ ქარხანაში მუშები ისე არ არიან შევიწროებული, როგორც ახშაროვის ქარხანაში. ამ ქარხანაში მუშები მეტათ მცირე ხელფასს იღებენ სხვა ქარხნების მუშებთან შედარებით. ამის გამო გასულ კვირაში ამ ქარხნის მუშებმა გაფიცვა დააპირეს და ხაზეინს ფასების მომატება მოსთხოვეს. ხაზეინმა სთხოვა მუშებს—ოღონდ ნუ გაიფიცებით და ორ-ორ შაურს მოგიმატებთ დღეშიო, ხოლო თუ სხვა ქარხნებშიაც მოუმატეს, მაშინ მეც იმდენს მოგიმატებთო. სწორეთ იმ ხანებში სხვა ქარხნების მუშები გაფიცულნი იყვნენ. აგრეთვე ფასების მოსამატებლათ და კიდეც გაიმარჯვეს: მათ ხაზეინებმა დღეში თითო აბაზი მოუმატეს, და ახშაროვმა-კი თავის მუშებს დაპირება არ აუსრულა: მხოლოდ ორ-ორი შაური მოუმატა. ასე რომ თუ სხვა სახერხავ ქარხნებში მუშებს წინათ მხოლოდ ორ-ორი შაური მეტი ეძლეოდათ, ვინემ ახშაროვის მუშებს, ახლა თითო აბაზი ეძლევათ მეტი.

გასაკვირველია ახშაროვის მუშების სიმხდალე და შეუგნებლობა. დღეს ყველა მუშა იბრძვის თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ამათ კი ერთი გაფიცვის გამართვაც ვერ მოუხერხებიათ და გაუმაძღარ ხაზეინს ნებას აძლევენ, რომელიც უნდა იმდენი სისხლი წოვოს მათ.

წესდება თფილისის ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირისა (პროექტი).

I. კავშირის მიზანი.

1) ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის მიზანია თავის წევრთა ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ბრძოლა და აგრეთვე მათი გონებრივ-ზნეობრივი განვითარების ხელის შეწყობა.

2) მუშათა ქონებრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ კავშირი ცდილობს: ა) სამუშაო ქირის გადიდებას; ბ) სამუშაო დღის შემოკლებას; გ) ზედმეტი მუშაობის და აგრეთვე ნაჭრობით და დღიურათ მუშაობის სრულიათ გაუქმებას.

შენიშვნა. ღამით მუშაობა მხოლოდ მორიგეობით შეიძლება და დღიურ მუშაობასთან შედარებით ერთი საათით ნაკლები უნდა იყოს.

დ) უქმეების წინა დღეს სამუშაო დღე ექვს საათს არ უნდა აღემატებოდეს. ე) პირველი მაისის დღესასწაულობა ხაზეინებმა არ უნდა დაგვიშალონ. ვ) ბავშვების შრომის აკრძალვა 15 წლამდე. ზ) შედარებით ნაკლები მუშაობა მცირე წლოვანთათვის 15 წლიდან 17 წლამდე. თ) ჯამაგირებიდან გამოკლება—ჯარიმა, დაწუნება და სხ.—აკრძალული უნდა იყოს. ი) სანიტარული პირობების გაუმჯობესება. კ) უფასო ექიმი და წამლობა ხაზეინის ხარჯით და ავათმყოფობის დროს სრული ჯამაგირის ძლევა.

შენიშვნა. ზოგიერთ საეჭვო შემთხვევებში კითხვას, მიეცეს თუ არა მუშებს ავათმყოფობის დროს ჯამაგირი, სწყვეტავს შემთანხმებელი კომისია, რომელიც თანასწორათ დგება მუშების და ხაზეინების წარმომადგენლებისაგან.

ლ) მუშა-ქალების განთავისუფლება მუშაობისაგან: ექვსი კვირით მშობიარობის წინ და ექვსი კვირით მშობიარობის შემდეგ ჯამაგირის შენახვით; დაარსდეს ფაბრიკასთან სადგომი ძუძუმწოვართათვის. მ) დაზღვევა სიბერის დროს სახელმწიფო ხარჯით, ხოლო იმათ, ვინც შრომის უნარს რამდენიმეთ, ან სავსებით დაჰკარგავს, ხაზეინმა უნდა გაუწიოს დახმარება. ნ) საქარხნო ინსპექციის გადაკეთება ისე, რომ მას ნამდვილათ შეეძლოს მუშათა ინტერესების დაცვა. ო) მუშების მიღების და დათხოვნის საქმეს, დაქირავების პირობების შემუშავებას, ფასების დაწესებას, ქარხნის შინაგან წესრიგის დაწესებას და სხვ. განაგებენ მუშათა დეპუტატები, რომლების გადაწყვეტილებას ხაზეინები უნდა დაემორჩილონ. პ) ქარხნის დახურვის დროს მუშებს სამი თვის ჯამაგირი უნდა მიეცეს. ჟ) წლიწადში ერთი თვით დათხოვნა სრული ჯამაგირით.

3) ხაზეინებთან ბრძოლის გასაადვილებლათ და ორგანიზაციის განსავითარებლათ კავშირი ცდილობს შემოღებულ იქნას სრული თავისუფლება გაფიცვების, კავშირების, სიტყვის, კრების, წრის, ხელშეუხებლობა პიროვნების და ბინის.

4) კავშირი ფულით დახმარებას უწევს უსაქმოთ დარჩენილებს, გაფიცულებს, ავადმყოფ ამხანაგებს და სხვ. და აგრეთვე გზის ფულს აძლევს სამუშაოს მაძიებელთ სხვა ქალაქებში წასასვლელათ.

5) ზემოაღნიშნულის მისაღწევათ კავშირი ხელმძღვანელობას უწევს გაფიცვას, ხელს უწყობს ორგანიზაციის განვითარებას როგორც აქ, ისე სხვა ქალაქებში, აარსებს ბიბლიოთეკებს, აწყობს კრებებს, ლექციებს და სხვ. კანტორას სამუშაოს მოსაძებნათ, ბიუროს იურიდიული დახმარების მოსაწყობათ, სცემს მოწოდებებს, ანგარიშს, და თუ შესაძლებელი იქნება, პროფესიონალურ გაზეთსაც.

II კავშირის წევრები.

6) კავშირის წევრათ მიიღება ყველა სტამბის და მაგვარი ხელობის მუშა, განურჩეველათ ეროვნებისა, წლოვანებისა, სქესისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკური რწმენისა, თუ ის წესდებას ემორჩილება.

შენიშვნა 1. წევრებათ არ მიიღებიან ხაზეინები და ის მუშები, რომელნიც სახელოსნოში ადმინისტრატიულ ხელობას ასრულებენ, ფაქტორები, გამგენი და სხვ.

შენიშვნა 2. იმათ, ვისაც თვრამეტი წელი არ შესრულებიათ, სარჩევი ხმა აქვთ.

7) კავშირში შესვლისათვის საჭიროა ერთი წევრის თავდებობა და გამგეობის თანხმობა.

III. კავშირის საქმეთა წარმოება.

8) კავშირის საქმეებს განაგებენ: ა) წევრთა ანუ წარმომადგენელთა საზოგადო კრება და ბ) გამგეობა.

ა) საზოგადო კრებები.

9) საზოგადო კრებებს იწვევს გამგეობა. კრება არის ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი.

10) ჩვეულებრივი საზოგადო კრება ინიშნება წლიწადში ორჯერ მაინც გასული წლის ანგარიშის განსახილველათ და დასამტკიცებლათ, მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვის შესადგენათ, გამგეობის წევრთა და მათი კანდიდატების ასარჩევათ. ეს კრება სწყვეტავს როგორც გამგეობის, ისე თვითეული წევრის მიერ დაყენებულ კითხვებს.

11) არაჩვეულებრივი კრების მოწვევა საჭიროების დროს შეუძლიათ: გამგეობას, სარევიზიო კომისიას და თფილისში მყოფ წევრების ერთ მეათედ ნაწილს.

შენიშვნა. არა ჩვეულებრივ საზოგადო კრების მოწვევის მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს გამგეობამ ორი კვირის განმავლობაში.

12) საზოგადო კრებას ხსნის გამგეობის თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი. ამის შემდეგ კრება ირჩევს კრების თავმჯდომარეს და მდივანს იმ პირთაგან, რომელნიც კავშირში რომელიმე თანამდებობას არ ასრულებენ.

13) ყველა კითხვა საზოგადო კრებაზე ხმის უბრალო უმეტესობით წყდება. თანამდებობის პირების არჩევა ფარული კენჭის ყრით ხდება.

შენიშვნა. წესდების და საწევრო ფულის რაოდენობის შეცვლა შეუძლია კრებაზე დამსწრე წევრთა ორ მესამედს.

14) საზოგადო კრება კანონიერათ ითვლება, თუ მაზე გამოცხადდება ქალაქში მყოფ წევრების ნახევარზე მეტი.

15) თუ წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო კრება არ შედგება, ის ისევ ინიშნება არა უადრეს ერთი კვირისა იმავ კითხვების გადასაწყვეტათ; ასეთი კრება კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, რაც მოსაწვევ ბარათებში იქნება აღნიშნული.

ბ) გამგეობა

16) გამგეობას, რომელიც შვიდი კაცისაგან შესდგება, ირჩევს საზოგადო კრება სრულუფლებიან წევრთა რიცხვიდან ნახევარი წლით.

IV. კავშირის საშუალებანი.

17) კავშირის საშუალებას შეადგენენ: ა) ერთდროული საწევრო გადასახადი კავშირში შესვლის დროს—50 კაპ. ბ) ყოველთვიური გადასახადი—ჯამაგირის ერთი პროცენტი და გ) შემოწირულებანი და კერძო შემოსავალი.

შენიშვნა. თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდანი საწევრო ფულის ნახევარს იხდიან.

18) მთელი შემოსავლის სამი მეოთხედი ირიცხება გაფიცვის კაპიტალში და მეოთხედი (25 პროცენტი) ჩვეულებრივ საჭიროებისათვის—მოძრავი კაპიტალი.

19) გაფიცვის კაპიტალის დახარჯვა გაფიცვის საბჭოს საქმეა და გაფიცვის დროს ხდება.

20) მოძრავი კაპიტალის დანიშნულებაა ხაზეინებთან ბრძოლაში დაზარალებულ წევრთა და მათი ოჯახის დახმარება, კავშირის საქმეთა წარმოების ხარჯების დაფარვა და მუშათა მწერლობისათვის დახმარების გაწევა.

შენიშვნა. კავშირი გაფიცვის დროს დახმარებას უწევს აგრეთვე სხვა ხელობის მუშებსაც, თუ შეძლება ნებას აძლევს.

21) საწევრო ფული საზოგადოთ უკან არავის არ უბრუნდება.

V. კავშირის საქმეთა რევიზია.

22) კავშირის თანხების, დოკუმენტების, წიგნების და ხარჯთ-აღრიცხვის გადასასინჯათ საზოგადო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიას სამი წევრისაგან და აგრეთვე მათ კანდიდატებს ექვსი თვით სრულუფლებიან წევრების რიცხვიდან; გამგეობის წევრი სარევიზიო კომისიის წევრათ არ აირჩევა.

სარევიზიო კომისიის წევრები თავის რევიზიის შესახებ შენიშვნებს აკეთებენ განხილულ წიგნებში და შემდეგ თავის მოხსენებას უდგენენ მახლობელ საზოგადო კრებას.

23) სარევიზიო კომისიას ნება აქვს რევიზია მოახდინოს საზოგადო კრების დავალებით, კავშირის ოცდაათი წევრის წერილობითი მოთხოვნილებით და აგრეთვე თავის შეხედულებით, თუ ამას საჭიროთ დაინახავს.

წვრილ ვაჭართა ბიუროს დადგენილებანი.

—

1906 წელს, თიბათვის 12 დღეს, თფილისის წვრილ მოვაჭრეთა ბიუროს მონაწილეობით, მოხდა შეერთებული კრება, თფილისში არსებულ ტრაქტირების, მიკიტნების, მესარდაფე-სარაჯებისა და ლუდხანების წარმომადგენლებისა. ითათბირეს მოსამსახურეთა მოთხოვნილების და მათი შეძლების დაკვარათ დაკმაყოფილების შესახებ. ბევრი თათბირისა და აწონდაწონის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია:

1) ტრაქტირებში ათი საათის მუშაობა; ხოლო დანარჩენ დარგის სავაჭროებში, თორმეტი საათის მუშაობა საქმე დღეებში, კვირას კი რვა საათის

მუშაობა. დანარჩენ საათებში სამსახური მოსამსახურეებთან შეთანხმებით.

2) ერთი საათი დასვენება სადილის დროს.

3) ვისაც ერთი წელიწადი უმსახურია ერთ ადგილზე—მოემატოს ხუთმეტი პროცენტი (მანეთზე სამი შაური).

4) უჯამაგიროთ არავინ არ იქმნას მიღებული.

5) 14 წლისაზე ნაკლები ხნის სავაჭროში არ იქმნას მიღებული.

6) თუ მოჯამაგირე ხაზეინის საქმეზე ავათ გახდა, მორჩენის ხარჯი ხაზეინის არის. (ვენერიული სატკივრით ავათმყოფს არა მიეცემა რა).

7) ვისაც წელიწადი გაუტარებია ადგილზე, მიეცეს წელიწადში სამი კვირის თავისუფლება ჯამაგირით და ერთ თვემდინ ადგილის შენახვით.

8) მიეცეს თვეში ერთხელ აბანოს ფულათ ექვსი შაური.

9) მიეცეს დასაძინებლათ მშრალი ბინა.

10) როგორც მოჯამავირისაგან, აგრეთვე ხაზეინისაგან ერთმანეთ შორის ზრდილობიანი მოპყრობა.— ორივე მხრისაგან კი—მუშტართან უმწვერვალესი ზრდილობა.

11) მიღება მოჯამაგირისა ხაზეინის უფლება არის, ხოლო დათხოვნა საამხანაგო სამართლით.

12) ჯამაგირი ეძლიოს თვის ბოლოს.

13) მიეცეს მსახურთ ფეშტამალი.

14) ვინც ბოთლებს რეცხავს, მიეცეს ტილოს გარკაბა (ხალათი).

15) ფეშტამალ-ტილო-გარკაბის გარეცხა ხაზეინის ხარჯით.

16) წაიღოს მსახურმა ტიკჭორით ერთი ვედრა ღვინო და ბოთლობით არა უმეტეს ათი ბოთლისა.

17) საერთო გაფიცვის დროს არავინ იქმნეს დათხოვნილი.

18) მოისპოს ყომარბაზობა და ბანქოს თამაში ტრაქტირებში, სამიკიტნოებში, სარდაფებში ლუდხანებში და სხვაგან. აგრეთვე მოისპოს მრუშობა და ყოველგვარი გარყვნილობა.

19) მოისპოს ლუდხანებში (პივნოიში) უზნეობა და ქალების შენახვა.

20) მოსამსახურე არ ლოთობდეს და თუ ლოთობას ან ქურდობას დაიწყებს დათხოვნილ იქმნეს და ის მოსამსახურე არც ერთმა ხაზეინმა არ მიიღოს, სანამ თავის გასწორების და სიწმინდის საბუთებს არ წარმოადგენს.

21. თუ სავაჭრო დაიკეტება, მსახურს ზედმეტ ჯამაგირს ვერ მისცემენ.

შენიშვნა: ტრახტირებში ათ ათი საათი მორიგეობით არის კვირა დღეობითაც.

სირაჯხანაში მომუშავე კურტნის მუშებთან შეთანხმების ბიურომ დაადგინა შემდეგი:

1) ჩამოღება რუმბისა ან ბოჭკისა 40 კ. 2) დადება 40 კ. 3)აწყვა და დადება 1 მ. 3) წყლის ჩასხმა. 30 კ. 5) დადება აწონვა და გაგზავნა 1 მ. 6) თან გაყოლა მუშტარში ჩამოღება და ჩატანა, ადგილზე გასწორება: ჩუღურეთში, შავსოფელში და ორთაჭალაში 1 მ. 60 კ. ამაზე შორს კი 2 მ.ნ. 7) კოლოტის აწყვა-დადება 50 კ. 8) ტიკის აწყვა 10 კ. 9) რუმბის გარეცხვა 40 კ. 10) დაზელვა და დაქინვა რუმბისა 40 კ. 11) მუშის საქმეს ბიჭი ვერ გააკეთებს, აგრეთვე ბიჭის საქმეს მუშა ვერ გააკეთებს. 12) დუქნის შინა საქმეში მუშა ვერ გაერევა. 13) ტიკის წაღება მანძილისა დაგვარად 14) თუ მუშამ თავის მიზეზით, ან სიმთვრალით გააფუჭა ან დაღვარა ღვინო, მუშამ უნდა ზღოს. 15) თუ მუშა დაშავდეს ხაზეინის საქმეზე, საექიმო ფული ხაზეინმა უნდა გადაიხადოს.

ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს დადგენილება გადაბეჭდონ.

უცხოეთი

ციურიხი (შვეიცარია). რუსეთში რევოლიუციაა, ხალხი თავისუფლების მოსაპოვებლათ იბრძვის. ამავე დროს, აქ, ამ ვითომდა თავისუფალ შვეიცარიაში რუსეთის მტარვალობა იკიდებს ფეხს. 12 ივნისი (ახალი სტილით) საგანგებო დღეა შვეიცარიისათვის და მით უმეტეს ციურიხისათვის. ციურიხში მრავალი რუსი ცხოვრობს. აღნიშნულ დღეს მათ კრება ქონდათ აგრარული კითხვის შესახებ. ს. დ. და ს. რ. ეკამათებოდნენ ერთმანეთს. სწორეთ შუა ღამის 12 საათი იქნებოდა, რომ მოვიდა ერთი ამხანაგი და განაცხადა: პოლონელებისა და რუსების სამკითხველოებს ადგილობრივი პოლიცია და რუსის ჯაშუშები დაეცნენ. სამკითხველოები გაჩხრიკეს, აიღეს და რამდენიმე ამხანაგი დაიჭირეს. გაჩხრიკეს აგრეთვე კერძო ბინები მეოთხე უბანში და ზოგიერთ დაჭერილებს კიდევაც სცემეს. მთელი უბანი შეკრულია პოლიციელებით. კრება პირველ საათზე დაიშალა. რუსების სამკითხველოსთან სიჩუმე იყო. თითონ სამკითხველოს პოლიციის კვალი სწორეთ რუსულათ ემჩნეოდა: შკაფები დამტვრეული, წიგნები თაროებიდან მიფანტულ-მოფანტული, სურათები და განცხადებები კედლებიდან ჩამოგლეჯილი. ორიოდ ანარხისტული წიგნაკი წაუღიათ.

ერთ ჩვენ ამხანაგს ექვსი პოლიციელი ჩასაფრებოდა, „ტურლინგის“ სასტუმროში. მისი ოთახი ადრე გაუსინჯათ. ავიდა კიბეზე თუ არა სტაცეს ხელი, ბორკილი დაადვეს და წაიყვანეს. სხვაც ბევრი დაუჭერიათ ამ სახით.

ამ ამბავმა მთელი კოლონია აადელვა. მეორე დღესვე დაინიშნა კრება, რომელსაც 1000 კაცზე მეტი დაესწრო. ამ კრებას რამდენიმე ციხიდან ახლათ გამოშვებული ამხანაგიც დაესწრო და მათ ბევრი საყურადღებო ცნობა გადასცეს კრებას: დაჭერისთანავე ხელებზე ბორკილი დაადვეს და შემდეგ გაჩხრიკეს, მაგრამ გაჩხრეკაც არის და გაჩხრეკაც: ტანზე გახადეს, ფეხზე გაძრეს და თითებ-შუა ჩახედეს არაფერი ქონდეს შიგა. ასეთი გაჩხრეკის შემდეგ ბნელს ოთახში ამწყვდევდნენ. მეორე დღეს, ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ თითქმის ყველანი გამოუშვეს. როგორც გამოირკვა, ეძებდენ ანარხისტებს, ვიღაც პროპაგანდისტებს და ყალბ პასპორტიანებს. გამოირკვა აგრეთვე რომ ზოგიერთებისათვის ძალზე ეცემათ.

ამ კრებას ადგილობრივი ს.-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებიც დაესწრნენ. კრებამ დაადგინა, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ამ უჩვეულო მოვლენას. ან ნუღარ ატარებს შვეიცარია თავისუფალი ქვეყნის სახელს და ან სასტიკათ დაისაჯოს ამ საქმის ჩამდენი. არჩეულ იქნა ორი კომისია, ერთი რუსების კოლონიიდან, ხოლო მეორე ადგილობრივ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციისაგან. ამ ორ კომისიას დაევალა საქმის წარმოება.

ამ ამბავმა აქ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამბობენ, ეს ისპანიაში მომხდარმა ამბებმა გამოიწვიეს და ამიტომ ანარქისტებს აქაც სდევნიანო. იმასაც ამბობენ, რომ ეს ვიტე-დურნოვოს საზღვარ-გარეთ წამოსვლის შედეგიაო. ამბობენ, ამ პირებს აქ, შვეიცარიაში უნდათ მოსვენებაო და ამიტომ შეუდგნენ შვეიცარიის გაწმენდას არა კეთილსაიმედო რუსთაგან.

სამკითხველოებმა და კერძო პირებმა საჩივარი აღძრეს.

ღია წერილი გრიშა გოგელიასადმი.

ჩვენ ბაღი „ბელვიუ“ს ხელზე მოსამსახურეები ვთვლით რა თავს ღრმათ შეურაცყოფილათ გრიშა გოგელიასაგან, ვიწვევთ სამედიატორო სამართალში და ჩვენი მხრივ ვასახელებთ მედიატორეებათ: კირილე ნინიძეს და კოწია ჯაფარიძეს.

წერილები რედაქციის მიმართ

(„ლაქიების და მზარეულების ჯგუფის“ მიმართ!)

გაზ. „შრომა“-ში თქვენ მიკიჟინებთ, რომ მე მოვკრიბე „ბლომათ„ ფული მოსამსახურეებისაგან (50 კ-დგან 1 მ-დე.) „ბიურო“ სა და კანტორის დასაარსებლათ ქ. თფილისში, რასაც ვითომც „შეგვპირებოდეს“ ს. დ. მ. პარტიის ორგანიზაცია. მიკვირს პატ. ჯგუფო, რისთვის დაგპირდათ ს. დ. პარტიის ორგანიზაციისათვის მოგეხვიათ თავზე იმ საქმის ინიციატორობა, რაც სრულებითაც არ შეეხება უკანასკნელს და რასაც არც დაგვპირებია! მაშ, რათ ცრუობთ? მეორე, პ. ჯგუფო! თუ რომ პროვოკაციის სუნი არ უდის თქვენს საქციელს და მართლა არსებობს თქვენი ჯგუფი, აიხადეთ პირბადე, გამოდით სინთლეზე და მაშინ მოგცემთ ანგარიშს, თუ რას მოხმარდა ჩემ მიერ მოგროვილი ფულები. ჩემ ეჭვს თქვენს რაღაც „ჯგუფის არსებობაში“ ვასაბუთებ იმით, რომ არამც თუ მთელმა ჯგუფმა, არამედ თითოეულმა მოსამსახურეთაგანმაც კი იცის' რომ ქ. თფილისში არსებობს „მოსამსახურეთა კავშირი“ და რატომ იქ არ მოისურვეთ ანგარიშის შეტყობა და რათ მიმართეთ გაზეთის საშუალებით ანგარიშის მოთხოვნას?

ლევან არჩვაძე.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ალაგი მისცეთ ამ მცირე წერილს.

მძიმე პირობებმა მაიძულეს შემეწყვიტა ჩემს სტამბაში, „გუტენბერგში“ ყოველივე აქციდენციური საქმე და დამეთხოვა ამ საქმეზე მომუშავენი. თანახმად სამედიატორო სასამართლოს დადგენილებისა დათხოვილ მუშებს გადავეცი სამ სამი თვის ჯამაგირები.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ჩემდა სამწუხაროთ, ვერ მოვახერხე ქალების ‚შრომა რომელიც ჩემის თაოსნობით შემოვიღეთ სტამბაში, სასურველ სიმაღლემდე აგვეყვანა და მისი სარგებლობა დამემტკიცებია.

მივმართავ ჩემს ყოფილ მუშებს, რომ თუ სამი თვის შემდეგაც უადგილოთ იქნებიან, ჩემი სტამბის კარები იმათვის ღიაა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ზაკაზებს თითონ აიღებენ და მე შემოსავლის მცირედ ნაწილს მომცემენ ურთიერთ შეთანხმების მიხედვით.

სტამბის პატრონი ბ. ს. ესაძე

თქვენს პატივცემულ გაზ. „ლამპარის“ მე 29 №-ში მოთავსებული იყო წერილი, რომელშიაც ბოიკოტს ვუცხადებდით ილიკო დურგლიშვილს, სანამ არ გასწორდებოდა. მისი თხოვნით ვხსნით ბოიკოტს და მის მიერ ჩადენილ საქმეზე ვნიშნავთ მედიატორულ სასამართლოს.

ამხანაგების მინდობილობით ს. შრომიშვილი.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

11 ივნისი.

კიევი. მაშელოვკის მიდამოებში სეტყვამ 160 დესეტინა ნათესი გაანადგურა.

ორიოლი. მეჩენსკის მაზრაში ესაულ კრასოვსკის მამულს გლეხები ანადგურებენ. კრასოვსკი ვერას გახდა დაემშვიდებია გლეხები.

იალტა. პოგრომის შესახებ მოწმეები პოლიციელებს ამტყუნებენ, დროზე საშუალება არ მიიღეს პოგრომის თავიდან ასაცილებლათო. გამოძიება დასრულდა

ელისავეტგრადი. ბუცკის ეკონომიის განადგურების გამო, ადესის სამოსამართლო პალატამ ექვს ბრალდებულს ორი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა, თერთმეტს თითო წლით დატუსაღება, თერთმეტი გლეხი გაამართლეს.

პეტერბურგი. ბელოსტოკის დროებით გენ.-გუბერნატორის დეპეშა 9 ივნისს სამხედრო მინისტრის სახელზე გაგზავნილი: „მოგახსენებ თქვენს აღმატებულებას, რომ 1 ივნისს ქრისტიანები მეტათ ხალღვა იმ გარემოებამ, რომ ებრაელებმა ყუმბარები და რევოლვერები დაუშინეს მართლმადიდებელ და კათოლიკეთა პროცესიას და ხალხმა დაიწყო ებრაელების დუქნების და ზოგიერთი ბინების განადგურება. ჩემ მიერ წინასწარ ზომების მიღებამ და საჩქაროთ ჯარის გამოწვევამ ჩქარა ბოლო მოუღო პოგრომს. ორ ივნისს მხოლოდ აქა-იქ მოხდა თავდასხმა, ქრისტიანთაგან მოკლულია 3 და დაჭრილი 7; ებრაელები მოკლულია 78 და დაჭრილი 84. 2 ივნისს, ღამით და უმთავრესათ 4 ივნისს ანარხისტები და ბუნდისტები თოფებს ესროდენ სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს და რკინის გზის სადგურს. მედგარი წინააღმდეგობის წყალობით :მ უწესო მოქმედებას ჩქარა მოეღო ბოლო. ჯარი სამაგალითოთ იქცეოდა, რის წყალობითაც ასე ჩქარა ჩაქრა არეულობა. გაზეთების ბრალდება—სიცრუეა. მცხოვრებნი დამშვიდდენ. დაჭრილია სამი სალდათი. **გენ. ბადერი**“.

12 ივნისი

პეტერბურგი. ტეუილია გაზეთების ცნობა, ვითომ უკანასკნელ ხანებში პეტერბურგის პოლიციელები სამსახურიდან გარბოდენ მატერიალურ საჭიროების და შიშის გამო. პირ-იქით, პოლიციის სამსახურში შესვლის მსურველთა რიცხვმა 3,000 გადააჭარბა, რაც არას დროს არ ყოფილა. უადგილობის გამო მთხოვნელების 95 პროცენტი არ მიუღიათ. ტეუილია აგრეთვე ის ცნობაც, ვითომ აღმოსავლეთ ციმბირის რკინის გზის გაყვანის ხარჯთ-აღრიცხვა ჯერ არ შეუდგენიათ და გზის გაყვანაზე 500 მილიონი მანათი კი არა 350 მილიონი დახარჯესო.— ისიც ტყუილია, თითქო ალტაის ოლქში, საკაბინეტო მიწები ციმბირში იჯარით კერძო პირთ უნდა გადასცენ და ამის შესახებ მთელი კომისია შედგა და მუშაობასაც შეუდგაო. ასეთი კომისია არც ყოფილა და არც არის ზემოხსენებულ ოლქში. იქ ეხლა მუშაობს მიწების გამწყურიგებელი რაზმი, რომელმაც იქაურ გლეხებს სახნავ-სათესი და ტყე უნდა დაუნაწილოს. დასანაწილებელია 15 მილიონი დესეტინა.— ტყუილია აგრეთვე ისიც, ვითომ ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ გამგეობას ცირკულიარები დაეგზავნოს ყველა საოლქო და ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებისთვის, სამსახურიდან დაითხოვონ ის მოხელეები, რომლებიც „ოტპუსკს“ ითხოვენ და შემდეგ ისევ უკან მიიღონ მთავრობის განკარგულების თანახმათ. ასეთი ცირკულიარები არსად არავის არ გაუგზავნია. რაც შეეხება გაზ. „ვოლნა“-ს კორესპონდენტის წერილს იმის შესახებ, რომ ვითომ ნოვგოროდის ციხის სალდათების ცხოვრება ტუსაღებზე უარესია და ვითომ უფროსები საზიზრათ ეპყრობიან სალდათებს და ამიტომ 24 აპრილს შემდეგ სალდათები დღემდე გაფიცულები არიანო, ამ ციხის კომენდანტის თანამდებობის აღმასრულებელი იუწყება, რომ ეს ფაქტები ყოვლად სიმართლეს მოკლებულია. სალდათებიდან არავითარი საჩივარი არ მიუღია მას და არც გაფიცვა ყოფილა. გაზ. „ვოლნა“-ს რედაქტორი ცილისწამებისთვის პასუხისგებაში მისცეს.— ბეჭდვითი სიტყვის მთავარ გამგეობამ კითხვა აღძრა გაზ. „ნაშა ჟიზნ“-ის, „[illegible]“-ის და ჟურნალ „იასნაია პოლიანა“-ს რედაქტორები პასუხისგებაში მისცენ.

მოსკოვი. განსაკუთრებულ დაცვის დებულების თანახმათ გრადონაჩალნიკმა სამხედრო სამართალში მისცა ის მძარცველი, რომელმაც ალექსეევის საკანდიტეროს შეიარაღებულ თავდასხმის დროს დაიჭირეს. მეჩექმეების გაფიცვა აქა-იქ გრძელდება. ხაზეინები თანხმა არიან შეამოკლონ სამუშაო დღე და მიუმატონ 10—13 პროც. სამუშაო ქირა.—გუშინ რამდენიმე ადგილას მოხდა კადეტების პარტიის რაიონული კრებები და ყველგან დაადგინეს ზიზღი გამოუცხადონ მთავრობას ბელასტოკის ამბების გამო. —მილიუკოვმა წაიკითხა მოხსენება სახელმწიფო სათათბიროს ტაქტიკის შესახებ, და მემარცხენე პარტიის მოქმედებას დემაგოგია უწოდა. კრებამ ნდობა გამოუცხადა სათათბიროს.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირო. სხვა და სხვა მოხსენების შემდეგ კრებას მოხსენდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი შეკითხვა თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტის შესახებ კავკასიაში, რასაც ენერგიულათ მხარი დაუჭირეს კავკასიის დეპუტატებმა ზიათხანოვმა, ბაგატუროვმა, პეტროსიანცმა, ელდარხანოვმა და რამიშვილმა, რომლებმაც აშკარათ დაამტკიცეს, რომ მთავრობამ თავის საზიზღარ პოლიტიკით სისხლით მორწყო და გაანადგურა წილკოტი მხარე, ჩაგლა ხალხში ყოველივე მისწრაფება, შებორკა სწავლა-განათლების საქმე და უზნეო და გათახსირებულ რუს ჩინოვნიკებს სრული უფლება მისცა თვითნებობის და საზიზღარ მოქმედების, რითაც ხელი შეუწყო ერთა შორის შუღლის და მტრობის ჩამოგდებას. ორატორებმა ერთხმათ მოითხოვეს ბოლო მოეღოს სისხლის ღვრას. პეტროსიანცი თხოულობს, როგორც ბელასტოკში, ისე კავკასიაშიაც გაიგზავნოს დეპუტატები ბოროტმოქმედების გამოსარკვევათ. რამიშვილი ამბობს, რომ მხოლოდ ერთად-ერთი სოციალდემოკრატია უწყობს ხელს კავკასიაში პროლეტარიატს ძმური კავშირი დაიჭიროს რუსეთის მთელ ხალხთან. სედელნიკოვმა სთქვა, რომ როცა რუსეთის ხალხის საქმე ცუდათ იყო თქვენც ცუდათ იყავით, როცა რუსეთის ხალხი კარგ მდგომარეობაში იქნება, თქვენც კარგათ იქნებითო. შეკითხვა ერთხმათ მიიღეს. მინისტრ სტოლიპინმა განაცხადა, წელსაც მოგველის შიმშილთან ბრძოლა, რადგან სხვა და სხვა მხრიდან ცუდი ცნობები მოდის მოუსავლობის შესახებო. შემდეგ მინისტრი არსებითათ შეეხო შეკითხვას და სთქვა, რომ შარშან შიმშილთან საბრძოლველათ ყველაზე მეტი თანხა იქნა გადადებული, ყანების დასათესათ 3,500,000 მანათი, სხვა და სხვა დაწესებულებებს 54,196,717მ. საერობო დაწესებულებათა განკარგულებაში 9,162,650მ. საზოგადო სამუშაოების მოწესრიგებისთვის 3,056,000მ. საქველმოქმედო საქმეებზე, 3,056,000მ:-სულ დაიხარჯა—73,732,539 მანათი. ამას რომ მივუმატოთ იმ პურის თესლის ღირებულება, რომლებიც საზოგადო მაღაზიებიდან გაიტანეს სულ 90 მილიონი დახარჯულა. დახმარება თავის დროზე გავუწიეთ იმ მოსაზრებით, რომ 1 ივლისამდე უზრუნველათ ყოფილიყვნენ. შიმშილობის გამო ავათმყოფობის შესახებ ცნობები სამინისტროს არ მიუღია.

შემდეგ მინისტრმა სქვა, რომ ის ოჯახები, რომლებიც აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ ისე სარგებლობდენ სახელმწიფო თანხიდან, როგორც ყველა. მთავრობა დიდ იმედს ამყარებს მომავალზე, რომ კერძო პირები და საზოგადოებანი მას დახმარებას გაუწევენ შიმშილთან ბრძოლაში, რადგან თუ კერძო პირთა დახმარება არა, ისე სურსათის საქმის მოწყობა ძნელია, ხოლო, რასაკვირველია, მთავრობას არ შეუძლია ჩუმათ იყოს და შესაფერი ღონის ძიება არ მიიღოს იმ პირთა შესახებ, რომლებიც ქველმოქმედებას ეფარებიან თავიანთ უკანონო მოქმედების სისრულეში მოსაყვანათ. მინისტრის სიტყვა სათათბირომ წყნარათ მოისმინა. მინისტრს პასუხი გასცეს რამდენიმე ორატორებმა: დოლგორუკოვმა და ვასილიევმა დაამტკიცეს, რომ მრავალ გუბერნიაში ადმინისტრაცია ფაქტიურათ უკრძალავდა ყველას მცხოვრებათათვის დახმარება გაეწია. თავ. ლვოვი ადარებს დღევანდელ დღეს 1891 წელს. მაშინ ერობა საუცხოვოთ მოქმედებდა და ამაში მთავრობამ განსაცდელი დაინახა. მაშინ მთავრობა ძლიერი იყო და ეხლა კი ის არავის სწამს. მხოლოდ სათათბიროს არჩეულ კომისიას შეუძლია დაიხსნას ხალხი შიმშილისა და პოლიტიკურ ხაოსისგან. ალადინმა წაიკითხა საბუთები, რომლებიდანაც ჩანს, რომ ის ოჯახები, რომლებსაც აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდენ შიმშილით იხოცებიან და არავითარ დახმარებას არ ღებულობენო. ორატორს უკვირს, რატომ აჩქარდენ მინისტრები გაემართლებიათ თავი. რასაკვირველია, აქ ისინი მილიონების შეძენის სურვილმა მოიყვანა. ძარცვას ისინი არასოდეს არ აგვიანებენ. უნდა გავგზავნოთ დეპუტატები ერობებთან ერთათ იმუშაონ და არ მისცენ ფულები სამინისტროს სადაც გურკო მუშაობს. ორატორმა მიმართა მინისტრებს და კითხა: „როდის იქნება, რომ თქვენ სინდისი და პატიოსნება გაიძულებთ და ამ დარბაზიდან გაეთრევით (მემარცხენეთაგან ცხარე ტაშის ცემა). როდიჩევმა თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა, რომ რუსეთის სიღარიბის მთავარი ფაქტორი მთავრობააო. ქვეყანაზე არსად ისეთი კანონი არ არსებობს, რომ ავაზაკს აეკრძალოს გამოაცხოს პური მშიერთათვის. როგორ იმართლებს თავს მინისტრი, როცა ამბობს, რომ სასადილოები მაშინ იხურებოდა, უკეთუ გამგეს აგიტაციის გაწევას შეამჩნევდნენ. ორატორმა ბოლოს სთქვა, რომ რუსეთი მანამ მშიერი იქნება, სანამ დახავსებული წეს-წყობილება სამუდამოთ არ გაქრება. (ტაშის ცემა მემარცხენეთა და ცენტრში) ორატორების სიტყვების გათავების შემდეგ ტრიბუნაზე ისევ მინისტრი ავიდა და სთქვა: „მე მანდა მხოლოდ შესწორება შევიტანე. მე არ მითქვამს, თითქო მომავალი მოქმედების მთელი გეგმა უკვე მზათ იყოს, მე ვთქვი, რომ ცნობები ჩქარა შეიკრიბება მეთქი. მაშინ გავიგებთ რამდენი მილიონი იქნება საჭირო და კითხვა სათათბიროს გადაეცემა. მე დამაინტერესა თ. ლვოვის სიტყვამ, მით უმეტეს, რომ ის ეხება ისეთ დროს როცა ჯერ საქმე გამწვავებული არ ყოფილა. დღევანდელ კამპანიაში საზოგადოების ყველა ხელები მიიღებს მონაწილეობას, წინეთ კი ეს შეუძლებელი იყო, რადგან ამას ხელს უშლიდა საყოველთაო არეულობა. (ხმები მარცხნიდან „ტყუილია“ „ოტსტავკა“.) მინისტრი მიბრუნდა მარცხნით და განაცხადა: „დასასრულ ვეტყვი მემარცხენე პარტიებს, რომ ცილის წამებას, ყვირილზე (მინისტრმა ხმას უმატა) და მათ მუქარაზე აღმასრულებელი უფლებების ძალით ხელში ჩაგდების შესახებ, პასუხს არ გავცემ (ხმაურობა მატულობს, ყვირილი ისმის „სათათბიროს წევრების შეურაცხყოფაა“ თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს და ამბობს: ყველას ნება აქვს თავისი აზრი ბოლომდე გამოსთქვას). ნაბოკოვი თხოულობს მორიგ საქმეებზე გადასვლას. თ. დოლგორუკოვი თხოულობს კითხვა კომისიას გადაეცეს. როდიჩევი ამბობს სტიქიური უბედურებანი მუდამ იქნება, მარა თავისუფალ მოქალაქეებს შეუძლიათ მასთან ბრძოლაო. სათათბირომ მიიღო ალადინის და ნაბოკოვის ფორმულა: „მიიღო რა მხედველობაში სახელმწიფო სათათბირომ, რომ დამშეულთა დახმარებას ძლიერ ხელს უშლიდა ადმინისტრაცია, პოლიტიკურ მოსაზრებებით, საჭიროა სცნო დამხმარე ორგანიზაციის შექმნა საზოგადოებების ძალების დახმარებით. დაევალოს სურსათის კომისიას შეიმუშაოს ისეთი გეგმა დახმარების, რომ სათათბიროს შეეძლოს კონტროლი გაუწიოს კომისიის ყოველ მოქმედებას და მოსთხოვოს მას, სათათბირო მორიგ კითხვაზე გადადის. 15 ივნისს მოხსენდება სათათბიროს კომისიის მოხსენება ბელასტოკის პოგრომის შესახებ. კრება 7 საათსა და 20 წუთზე დაიხურა შემდეგი კრება, ხვალ დილით თერთმეტ საათზე დაიწყება.

რედაქტორ-გამომცემელი **კ. თავართქილაძე.**

განცხადება

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„კოლხიდა“

ქ. ქუთაისში.

ღებულობს: 1) ხელის მოწერას მთელი გუბერნიისათვის ყველა ადგილობრივ და სატახტო პროგრესიულ ჟურნალ-გაზეთებზე, 2) გაზეთებში დასასტამბათ განცხადებებს კერძო პირებისა და დაწესებულებათაგან, 3) წიგნებს საკომისიოთ და 4) ყიდის ცალკე ნომრობით ადგილობრივ და სატახტო უფრო გავრცელებულ პროგრესიულ გაზეთებს იმ ფასებში, რაც ზედ აწერია ე. ი. 3 და 5 კაპ.

ის. კვიცარიძე.

მსწრაფლ მბეჭდავი

სტამბა

გრიგოლ ჩარკვიანისა

გადავიდა მიხეილის ქუჩაზე № 40 რეალურ სასწავლებლის პირდაპირ.

საყმაწვილო ჟურნალი

ნაკადული

სურათებით.

წელიწადი მეორე. წელიწადაითვლება პირველ იანვრიდან იანვრამდე.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე—ალექსანდრეს ქუჩა, № 5.

რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—სამ-სამი მანეთი. ნახევარის წლით: ერთათ—2 მან. 50 კაპ., ცალკ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში ე., ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის—15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კ. წლიურ ხელის-მომწერთ შეუძლიათ თვეში თითო მანათი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანათათ.

პირობებზე მოსალაპარაკებლათ რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: თფილისი ჟურნალ „**ნაკადული**“-ს რედაქცია.

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი. გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

მიიღება ხელის მოწერა

სომხურ პოლიტიკურ, საზოგადო და საეკონომიო ახალ გაზეთზე

„პაიტ“ (ნაპერწკალი)

რომელიც ჯერ-ჯერობით გამოდის კვირაში

ორჯელ

სოლოლაკის ქუჩა, № 1

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.